საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვები სიფცვაა, ფაფიოებით და ჯიბებით ბეჭთის გაფანა ყველა უკიდრისიბაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 20 აპრილი. 2018 წ. №81 (8482), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უკიდურესი სიყვარულიდან – უკიდურეს სიძულვილამდე...

ენვერ ნიჟარაძე:



სხვა თეატრი

6

დიახ, საქართველო სხვა თეატრია! თეატრი უკიდურესი სიყვარულის და უკიდურესი სიძულვილის. აქ დროდადრო ისე ვთამაშობთ ერთმანეთის სიკვდილ-სიცოცხლით, თითქოს მართლაც თეატრის ფიცარნაგზე ვიდგეთ.

თეატრი თავმდაბალთა და თეატრი ამპარტავანთა. სათნოთა, ლმობიერთა, თავდადებულთა და თავგანწირულთა. ავაზაკთა, ჯალათთა და გამცემელთა. თეატრი მასხარათა, ბერიკათა და მსახიობთა. ნიღბოსანთა და უნიღბოთა.

სოფლისთვის ზურგში ჩაცემული მახვილი

ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება

3

თბილისსა და სიღნაღში დაკავებულია „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირები

ევროპოლთან თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და სიღნაღში კრიმინალური სამყაროს 3 წევრი დააკავა — განცხადება ამის შესახებ შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა:

„ამჯერად, სპეცოპერაცია საქართველოში ჩატარდა. ევროპოლთან შეთანხმებით მიმდინარე წლის 19 აპრილს თბილისსა და კახეთში ერთდროულად კრიმინალური სამყაროს 3 წევრია დაკავებული, რომლებსაც აქტიური კავშირი ჰქონდათ ევროპაში მყოფ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებთან, მათგან დავალებებს იღებდნენ და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისში, მახათას აღმართის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა 1989 წელს დაბადებული დიმიტრი ჭრელაშვილი. სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში — 1973 წელს დაბადებული გივი ბეგიაშვილი, თბილისში, მუხიანის მე-3 მიკრორაიონში კი —1993 წელს დაბადებული კახა ბეჟიტაშვილი.

ბრალდებულები აღიარებენ ე.წ. „ქურდულ სამყაროს“. ისინი მონაწილეობას იღებდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი ჰქონდათ ევროპაში მყოფ ქართველ კანონიერ ქურდებთან — მალხაზ ზედელაშვილთან, კახა შავლიაშვილთან, აბესალომ პაპიაშვილთან და გიორგი ხატიაშვილთან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯგუფის სამივე წევრმა ერთ-ერთ მოქალაქეს ქურდული გარჩევა მოუწყო, ოჯახის წევრებისა და ქონების განადგურების მუქარით 60 000 ლარის გადახდა მოსთხოვეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდული სამყაროს წევრობას გულისხმობს. შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ევროპოლთან აქტიურ თანამშრომლობას და „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ინტენსიურ ღონისძიებებს“.

ზაზა პაპუაშვილი: ბიძინა ივანიშვილი არც ყოჩია და არც ბელადი!

ნუ გვინდა, რომ საზოგადოებას ვაჩვენოთ, ყოჩებისა და ბელადების გარეშე ვერ ვიცხოვრებთ, ბიძინა ივანიშვილი არც ყოჩია და არც ბელადი — გუნდმა იბრძოლა, ეს რეალობა დააყენა და შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციებზე იყოს საუბარი, რაშიც მისივე თქმით, ხარვეზს ვერ ხედავს.

— ბიძინა ივანიშვილს ვიცნობ, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მისთვის აზრიც მიკითხავს და უკითხავს კიდეც. ჩვენ ისეთი მოსახლეობა არ უნდა ვიყოთ, რომ ყოჩებსა და ბელადებს ვეძებდეთ. ეს სწორად არ მიმაჩნია. უფრო მეტსაც ვიტყვი, ცხოვრებისეულ დამოკიდებულებაზე მასაც ასეთივე შეხედულება აქვს. არც ბელადები არ უნდა გვჭირდებოდეს და არც ყოჩები. ქვეყანა უნდა ავაშენოთ, თაობები მოვლენ, მთავრობები შეიცვლებიან და ცხოვრება უნდა გაგრძელდეს ინსტიტუციურად და ისე, როგორც თანამედროვე სახელმწიფო იგება. ნუ გგონიათ, რომ ურთიერთობა სხვა ქვეყნებში მშვიდად მიდის და ყველა მთავრობასა და პარლამენტში პროცესი დავარცხნილად, ვაგნერის მუსიკის ფონზე მიდის, რუსთაველის ენით, ხელთათმანებით უნდა ვილაპარაკოთ. ასე არ არის, ემოციური მხარე ჭარბობს, ვიღაცას არგუმენტაციის ნაკლებობა თუ სიჭარბე აქვს. საკითხის ისე დაყენება, რომ ბიძინა ივანიშვილი თუ არ გამოჩნდება, არიქა, ქვეყანა დაიღუპება, პრობლემას ასე არც ის უყურებს და არც — მე. გუნდმა იბრძოლა, ეს რეალობა დააყენა და შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციებზე იყოს საუბარი, რაშიც ხარვეზს ვერ ვხედავ. უბრალოდ არ მინდა, რომ ჩვენ ვითომ ცხოვრება ვერ შევძელით და არიქა, ვიღაცას უნდა დავუძახოთ, მიშველე! ეს პრინციპი არ მომწონს, თორემ შემიძლია, კონსულტაციების დონეზე აზრი თქვენც გკითხოთ..

ნანა ძაგნიძის ძვირფასი „ვერცხლი“

გუშინ სლოვაკეთში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-19 პირადი ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდი 65.000 ევრო იყო. შესანიშნავად ითამაშა 2017 წლის ევროპის ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 8 ქულა მოაგროვა და კონტინენტის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედალთან ერთად ის 9. 000 ევროთი დაჯილდოვდა.

ირაკლი რევიშვილის 4 „ოქრო“

დუბაიში დამთავრდა არაბთა გაერთიანებული საამიროების ღია პირველობა ცურვაში. წარმატებით იასპარეზა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ირაკლი რევიშვილმა, რომელმაც 4 ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენებურმა თავისუფალი ყაიდით 50-100-200-400 მეტრზე საუკეთესო შედეგები აჩვენა.

კოორდინაცია ეკონომიკურ გუნდში არის ძალიან კარგი!

ПРЕМИЕР-МИНИСТРИ მთავრობის სხდომაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის EFF პროგრამის წარმატებით დასრულებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სსფ მთლიანად იზიარებს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას.

„მინდა, მადლობა გადავუხადო მისიის ყველა თანამშრომელს მხარდაჭერისთვის, რა თქმა უნდა, ადგილობრივ წარმომადგენლობას და მისიის ხელმძღვანელს, ქალბატონ მერსედეს ვერა მარტინს, რომლის დახმარებაც ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იყო უმნიშვნელოვანესი — ფისკალური მაჩვენებლების გაჯანსაღების კუთხით, ქვეყნის სუვერენული ბალანსის გაჯანსაღების კუთხით და რა თქმა უნდა, საგადასახდელო ბალანსის გაჯანსაღების კუთხით, რაც სახეზეა და ეს, რა თქმა უნდა, არის წარმატებული რეფორმების განხორციელების შედეგი.

მინდა, მადლობა გადავუხადო მთავრობის ეკონომიკურ გუნდს თანამშრომლობისთვის დიმიტრი ქუმსიშვილის ხელმძღვანელობით. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გახლავთ ის, რომ კოორდინაცია ეკონომიკურ გუნდში არის ძალიან კარგი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან თანამშრომლობა იმისთვის, რომ ის საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც ჩვენგან მიდის პარლამენტში, ასევე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები სრულფასოვნად მუშაობდეს. ვფიქრობ, ეს წარმატება გამოხატულებაა ამ ძალიან კარგი კოორდინაციის“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ნატოსთან თანამშრომლობას მოაქვს ის სტაბილურობა, რომელიც დღეს გვაქვს!

ПРЕМИЕРИს თქმით, ნატოსთან თანამშრომლობა დღეს უმაღლეს ნიშნულზეა, წელს ნატოს დღეები განსაკუთრებულად აღინიშნება რეგიონებში და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მათ შორის — ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

„ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებთან ერთად მართავს არაერთ ღონისძიებას, რათა ჩვენი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე იყოს სათანადო და ჩვენმა მოქალაქეებმა ძალიან კარგად გაიგონ ის სარგებელი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იღებს ნატოსთან ინტეგრირების პროცესით; თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტაბილურობა ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ამ თანამშრომლობას მოაქვს ის სტაბილურობა, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს. ნატოსთან თანამშრომლობა დღეს უმაღლეს ნიშნულზეა. უმნიშვნელოვანესია ის პროგრესი, რომელიც გვაქვს ძირითადი პაკეტის განხორციელების პროცესში, ასევე უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნებისა და გენერალური მდივნისგან საქართველოს აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს დღეები სათანადოდ უნდა აღინიშნოს და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჩართულობა, მათ ინფორმირებულობა უმნიშვნელოვანესია“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კიდევ 14 სოფელს მიენიჭა

მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონით განსაზღვრული შეღავათებით ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ბორჯომის, მარნეულის, ქარელის, ბაღდათისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების სოფლების მოსახლეობა ისარგებლებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობისთვის ცხოვრების პირობების შემსუბუქება ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, სწორედ ამას ემსახურებოდა მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონის მიღება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი ნათია მიქელაძე იქნება

ნათია მიქელაძე აღნიშნულ პოსტზე შალვა თადუმაძეს შეცვლის, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა.

— მინდა, დღეს წარმოგიდგინოთ შალვა თადუმაძის შემცვლელი მთავრობის საპარლამენტო მდივნის პოზიციაზე. ეს გახლავთ ქალბატონი ნათია მიქელაძე. მე მგონი, მას ყველა კარგად ვიცნობთ. ნათიას ძალიან მდიდარი გამოცდილება აქვს საჯარო სექტორში. იგი მუშაობდა როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ, ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ, ხოლო ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო შალვა თადუმაძის მოადგილე. მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს მთავრობისა და პარლამენტის ნაყოფიერ თანამშრომლობას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ნათია თავისი გამოცდილებით, საქმისადმი განსაკუთრებული მიდგომით წარმატებით გაართმევს თავს ამ ამოცანას, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

უმრავლესობის სხდომა შაბათს გაიმართება

საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა შაბათს გაიმართება და მას პრემიერი კვირიკაშვილიც დაესწრება. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პარტიის ცენტრალურ ოფისში შეიკრიბებიან.

გიორგი გახარია ესპანეთის სამეფოს დელეგაციას შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ესპანეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გენერალურ კომისარს ელოი კუიროს ალვარესს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოსა და ესპანეთის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება.

გიორგი გახარიამ და ელოი კუიროს ალვარესმა ბოლო პერიოდში ქართველი და ესპანელი სამართალდამცველების აქტიური თანამშრომლობის შედეგად წარმატებით განხორციელებული ერთობლივი ოპერაციებისა და ესპანეთში საქართველოს პოლიციის ატაშეს ეფექტური საქმიანობის შესახებ ისაუბრეს.

პატივი მიაგეს წაბლანაში დაღუპულთა ხსოვნას

სოფელ წაბლანაში მომხდარი ტრაგედიიდან 29 წელი გავიდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანას ესტუმრა და 1989 წლის 19 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ყურადღება გამახვილა წაბლანელებისთვის წლების მანძილზე არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხზე, მისი თქმით, სტიქიის შედეგად დაზარალებულებს სულ მალე საშუალება მიეცემათ, იქონიონ საკუთარი ჭერი. **„როგორც** თქვენთვის ცნობილია, აჭარის მთავრობის დაფინანსებით და საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ასევე ინვესტორი კომპანია „აჭარისწყალის“ ჩართულობით შენდება საცხოვრებელი, რომელშიც ტრაგედიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილები თავშესაფარს, მუდმივ ჭერს მიიღებენ. მინდა, გაგახაროთ და გაცნობოთ, რომ მშენებლობა უკვე დასრულების ეტაპზეა, შემოდგომაზე ბინების გადაცემას ერთად აღვნიშნავთ“ — განაცხადა ზურაბ პატარაძემ.

1989 წლის 19 აპრილს, აჭარის მაღალმთიან სოფელში, წაბლანაში ჩამოწოლილმა მეწყერმა სოფელი მოიყოლა, რის შედეგადაც 23 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის სამი ბავშვი.

ვაკის რაიონში კეთილმოეწყობა სამი სკვერი

ვაკის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რაიონის სამ მისამართზე სკვერების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ახალი სკვერი ამ დროისთვის კუს ტბის ტერიტორიაზე ეწყობა.

გარდა ამისა, დასასვენებელი სივრცის რეაბილიტაცია ვაჟა-ფშაველას I კვარტალში და ნუცუბიძის III მ/რ-ში, შალვა ნუცუბიძის სახელობის სკვერში მიმდინარეობს.

გეგმის თანახმად, სკვერები გამწვანდება და განათდება. სამივე მისამართზე ასევე, სრულად განახლდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა. შალვა ნუცუბიძის სახელობის სკვერში კი, უკვე მოეწყო ახალი ფიტნესზონა, სადაც ათი სავარჯიშო ტრენაჟორი განთავსდა.

ქარხანა ესპანური და ქართული ინვესტიციებით აშენდება

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კასპში, სოფელ მეტეხში, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი კერამიკული აგურის მწარმოებელი საწარმო ესპანური და ქართული ინვესტიციებით აშენდება.

ბიზნესის მხარდასაჭერად შპს „კერამიკა ელ ტორენტეს“ 28 155 კვ.მ. სახელმწიფო ქონება გადაეცა. კომპანია წელიწადში 55 000 ტონა კერამიკული აგურის წარმოებას და ადგილობრივი ბაზრისთვის მიწოდებას გეგმავს.

თბილისს ორი სპორტული ცენტრი შეემატება

თბილისის მერის მოადგილემ სოფიო ხუნწარიამ და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ ვაზისუბანსა და ლილოს დასახლებაში ახლადაშენებული სპორტული ცენტრები დაათვალიერეს.

ვაზისუბნის სარაგბო კომპლექსი 12 306 კვადრატულ მეტრს იკავებს და მოიცავს ხელოვნურსაფარიან მოედანს, 500-ადგილიან ტრიბუნას, ადმინისტრაციულ შენობას და საშხაპეებს. ცენტრი 700 ადამიანს მოემსახურება. ტანვარჯიშის დარბაზის მშენებლობა დასრულებულია ლილოს დასახლებაშიც. დარბაზი 500 კვადრატულ მეტრს მოიცავს და 400-მდე ადამიანზეა გათვლილი. სპორტულ ცენტრში მხატვრული ტანვარჯიშის, აკრობატიკისა და ბატუტის სპორტული სექციები ამოქმედდება. დასახლებაში, ასევე, მოეწყო ფიტნესდარბაზი.

მადამ ვონგი ავლაბრის სასახლეში

სახელმწიფო **მოღვაწის სიდიდე მხოლოდ მისი თავის გარშემოწერილობით არ იზომება. ისიც საკითხავია: ვინ ამოიყენა გვერდით, როგორ შეარჩია თანამებრძოლნი?**

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ამ მხრივ სწორედ რომ მისაბაძი და დასაფასებელია, თუნდაც მისი პოლიტიკური მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე ავიღოთ...

მეფეთა მეფე თამარსაც ჰყავდა ასეთი „სასწრაფო დახმარების“ ბრძენი ქალები — ხვაშაგ ცოქალი და კრავაი ჯაყელი. იმდენ ქალში მაინცდამაინც იმ ორის გამორჩევა სწორედ რომ ხაზს უსვამს თამარ შვიდმნათობიერის გონიერებას.

რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II იმითაც იყო დიდი, რომ თავის გარშემო ისეთი ხალხი შემოიჯარა, როგორიც ეკატერინე დაშკოვა იყო, რუსეთის ახალშექმნილი მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი და ყოველმხრივ გონიერი ქალი.

ამ მხრივ ღვთის კალთა აქვს დაბერტყილი, ვიმეორებ, ჩვენს პრეზიდენტს. გიორგი მარგველაშვილმა სწორედ რომ შესაშური სიბრძნით დაადგა თვალი პოლიტიკური მრჩევლის მირიად კანდიდატს შორის ფიქრია ჩიხრაძეს და არ მოისვენა, სანამ ავლაბრის სასახლეში არ გააფაშფაშა!

რა თქმა უნდა, ეს გამორჩევა შემთხვევით არ მომხდარა. ამ რამდენიმე წლის წინათ ფიქრიამ თავისი გამჭრიახობით, ალღოთი და საქმის არსის „ტოჩკაში მორტყმით“ მსოფლიო გააოცა, როდესაც მსჯელობა იყო ჩვენი სახელმწიფოს მოწყობის საშველდაუყენებელ მომენტებზე, იქ შეკრებილ სახელმწიფოს უბრძნეს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთადერთმა მიაგნო გამოსავალს და ეგრევე, პირდაპირ ტელეეთერში დადო რეცეპტი: **„ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი არმია!“**

იოლი და იორღა!

მახსოვს მაშინ თათბირის მონაწილეთა გაოცებული ამოსუნთქვა, რასაც ბევრისგან შურიც ახლდა, ეშმაკმა დალახვროს, ჩვენ როგორ ვერ მივხვდითო?!

ასეა: დიდი, დიადი აზრები თითქოს მოულოდნელად იბადება, მაგრამ ფიქრია ჩიხრაძის იმდღევანდელი გენიალური გამონათება იყო კი მოულოდნელი? არამც და არამც! ეს იყო ძიების, შეჯერების, ტვინში გადადუღების, უძილო ღამეების, განუწყვეტელი ფიქრის შედეგი, როგორ ვუშველოთ ჩვენს ბედკრულ სამშობლოსო.

ფიქრიას აგულიანებდა ალექსანდრე დიდის, ცეზარის, ჩინგიზ ყაენის, ნაპოლეონის თვალსაჩინო მაგალითები და მისი ბრალი სულაც არ არის, რომ უბადრუკმა თანამედროვეებმა ვერ შეძლეს მისი ღვთივბოძებული მიგნების ხორცშესხმა.

არადა, რა გიშლიდა ხელს? ქალი გეუბნებათ, რუსეთის იმპერიის არმიის დასაპირისპირებლად ძლიერი არმია შექმნათო და თქვენ ყურს არ იბერტყავთ, არ ქმნით ძლიერ არმიას!

არადა, ეს ის დროა, როცა ამ მოწოდების შემდეგ ძლიერი არმიის შექმნას სწორედ რომ არაფერი სჭირდებოდა. ძლიერი არმიის სამეთაურო კადრებიც უხვად გვყავდა: მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თინა ხიდაშელი...

არ დაუჯერეს და დავრჩით პირში ხვლიკის კუდგამოვლებულნი. არც ძლიერი არმიაა და თინა ხიდაშელის სამხედრო გენიაც ხორცშეუსხმელად განქარდა...

ოღონდ დარჩა მოლოდინი, რომ ფიქრია ჩიხრაძე ადრე თუ მალე, პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის რანგშიც იტყოდა რაიმე გენიალურს. ჰოდა, არც დააყოვნა.

პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ შეწყალებული პატიმრის ვეფხია ბაქრაძის მიერ გერის, ორი მცირეწლოვანი შვილის დედის უღვთო მკვლელობასთან დაკავშირებით უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებმა სიხარულისგან ხელების ფშვნეტა დაიწყესო, განაცხადა.

ანუ, ამ საშინელი მკვლელობით იმის გამო გაიხარეს, რომ მკვლელის შემწყალებელი პრეზიდენტის წინააღმდეგ „ბინძური და ცილისმწამებლური კამპანია ახალი ძალით აეგორებინათო“.

ქალბატონო ფიქრია, ყელგამოჭრილი ახალგაზრდა დედის დანახვაზე სიხარულით მოიფშვნიტეს ხელები? ხვდებით მაინც რას ამბობთ?

რა, ისე აკლდათ საბაბი და მაგალითები პრეზიდენტის წინააღმდეგ „კამპანიის“ წასამართავად?

ნუთუ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მართლა უსულგულო მონსტრები გვისხედან, რომლებიც სიხარულით ცას ეწევიან გვამების დანახვისას, თუკი ამით მოწინააღმდეგეს ძულები დააკლდება?

საკმაოდ მდარე წარმოდგენისა ვარ ჩვენს ოპოზიციაზე, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს იმ ფიქრისგან, რომ ამ ოპოზიციის ყველაზე მძვინვარე, ოდიოზური წევრიც კი სიხარულით ხელებს იფშვნეტდეს ყელგამოჭრილი ახალგაზრდა ქალის შემხედვარე, აქაოდა ამ გვამს ვიღაცის წინააღმდეგ გამოვიყენებო!

რაც შეეხება ხელისუფლებას. თუ ახლა ვინმეს არ აწყობს ყელების ჭრა და ქუჩებში გვამების დაშტაბელება, სწორედ ხელისუფლებაა. ეს იმდენად უტყუარია, რომ არავინ დაიჯერებს, ფიქრია ჩიხრაძე სულაც ცოცხზე შემჯდარი რომ გამოფრინდეს ავლაბრის სასახლიდან.

არადა, ჩვეულებრივ, ყოფით ვითარებაში ამ ქალბატონის შემხედვარე, ერთადერთი იდეალური სურათი წარმოგესახება: როგორ აპურებს საკენკით და „ჯუ-ჯუ-ჯუს“ ძახილით ქათამ-ინდაურს ჩვილატატებული დიასახლისი, და რას წარმოიდგენ, თურმე რა სისხლიანი ვნებები თვლემს მის ამ მატყუარა პასტორალურ ხატებაში!..

...ღირს კი ჩვენი პრეზიდენტი ისეთ გრანდიოზულ პოლიტიკურ ბრძოლად, რომ სისხლი ღვარად მოედინებოდეს და დაკლული ადამიანების ღაღადი ცას სწვდებოდეს?! რაღა დარჩა, ჩაივლის ოქტომბერი და მას წყნარად და უხმაუროდ გაჰყვება პრეზიდენტი მარგველაშვილი, მარგველაშვილს კი — იმისი პოლიტიკური გუნდი. რა არის აქ სამკითხავო, საორჭოფო და ამდენად „საკამპანიო“?!

უბრალოდ, გაიფიქრებ: ეს ქალბატონი ფიქრია, რომელიც თავის ერთობ წყნარ და უემოციო გარეგნობაში თურმე კბილებში დანაგაჩრილ მადამ ვონგს მალავს, მომავალ პოლიტიკურ სკუპს ხომ არ გამოითვლის, რადგან შემოდგომის შემდეგ, ახალ პრეზიდენტთან ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა მისი კვლავ ავლაბრის რეზიდენციაში ამაღლება!

ოღონდ, ისე ხომ არ გამოუვა, როგორც სიმღერაშია: „არც ფაიტონი, აღარც ცხენები, გულო, გაუძელ ტკივილს!..“

ალეკო ასლანიშვილი

სოფლისთვის ზურგში ჩაცემული მახვილი

SIC!

ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება

ქვეყანაში **დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება. 2017 წელს საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების მოცულობა ოთხი წლის მინიმუმზე დავიდა.**

საქსტატმა მემცენარეობის შესახებ 2017 წლის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, გასულ წელს ნათესი ფართობების მოცულობამ თითქმის 214.9 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც ნაკლებია არა მხოლოდ 2016 წელთან შედარებით, არამედ, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, შემცირებულია როგორც საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების, ისე საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემში კარგად ჩანს, რომ **2014 წელს ქვეყანაში სულ 274 ათას 900 ჰექტარი ნათესი ფართობი იყო, 2015 წელს 263 ათას 700 , 2016 წელს 240 ათასი , ხოლო 2017 წელს 214 ათას ცხრაასი ჰექტარი.**

აქედან საშემოდგომო მარცვლოვან კულტურებს (ხორბალი, ქერი), 2014 წელს 58 ათას 400 ჰექტარი შეადგენდა, 2015 წელს 56 ათას 200, 2016 წელს 60 ათას 500, 2017 წელს 52 ათას 500, ხოლო 2018 წელს 46 ათას ორასი ჰექტარი იყო.

საშემოდგომო კულტურების ნათეს ფართობებში იგულისხმება წინა წლის შემოდგომაზე დათესილი საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობი, საიდანაც მოსავლის აღება ხორციელდება მიმდინარე წელს.

მონაცემში ასევე ასახულია საგაზაფხულო კულტურები, რაც 2014 წელს 216 ათას 500 ჰექტარს შეადგენდა, 2015 წელს 207 ათას 500, 179 ათას 500, ხოლო 162 ათას 400 ჰექტარს.

ამასთან, 2017 წელს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე ცოტა იყო ციტრუსის წარმოებაც — სულ დაახლოებით, 58 ათასი ტონა.

დაახლოებით, 75 ათასი ტონით ნაკლები იყო 2017 წელს ხილის მოსავალი და შეადგინა, დაახლოებით, 111 ათას 800 ტონა, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობის ზრდას „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი გადასახადების ზრდას უკავშირებს, რის გამოც მიწაზე მომუშავე ადამიანს საჭირო ინვენტარის შეძენა უჭირს.

„როდესაც სახელმწიფომ სოფლის დახმარება გადაწყვიტა, მან უნდა გაარკვიოს, სოფლის მოსახლეობას ეხმარება თუ სოფლის მეურნეობას. ხვნა-თესვის ვაუჩერი იყო სოციალური პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობას ასე პირდაპირ არ დაეხმარებოდა.

ჩვენ ადრეც ვამბობდით, რომ თუ ხელისუფლება სოფლის მოსახლეობას ეხმარება, ჯობია, ფული დახარჯოს სოციალური დახმარებების სახით. მიწაზე მომუშავე ადამიანი თანხას საჭიროების მიხედვით საკუთარი სურვილით გამოიყენებს.

როდესაც ვაუჩერები დაარიგეს, თითოეულ პროდუქტზე ფასები დაახლოებით 30%-ით გაიზარდა. ამან გამოიწვია ის, რომ როდესაც სახელწიფომ ამ ტიპის დახმარება შეწყვიტა, ფასები იგივე დარჩა. დღეს სოფლებში მექანიზაციის ცენტრები მოშლილია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. საერთო ინფლაციის პირობებში კი ყველაფერი გაძვირებულია“, — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, მისი მთავარი მესიჯი ისაა, რომ სოფლის მეურნეობის მიერ წამოწყებული პროექტები გლეხებს ვერ ეხმარება, რადგან სახელმწიფო ყველას ვერ დაეხმარება. ასეთი გზით მხოლოდ ერთეულებს ეხმარება. ამიტომაა საჭირო გადასახადების დაწევა, რომ მოსახლეობამ შეძლოს მიწის დამუშავება.

რაც შეეხება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, როგორც სამინისტროდან „კომერსანტს“ განუცხადეს, ამ ეტაპზე უწყება საქსტატთან ერთად დეტალების დაზუსტებაზე მუშაობს, რის შემდეგაც სამინისტრო საბოლოო ვერსიას გამოაქვეყნებს.

ლიკა გურაბანიძე

როგორ გახდა პრეზიდენტი თვითონ შესაწყალებელი

ეს ე.წ. უფლებადამცველები, არასამთავრობოელები და ა. შ. ტიპები დაავადებულნი არიან მაზოხიზმის სინდრომით. ისინი ცდილობენ, რომ ნებისმიერ მარტივად გადასაჭრელ საკითხშიც იპოვონ ისეთი მარცვალი, რომლითაც ბოლომდე დაიტანჯებიან და ყველაზე შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ისინი თავიანთ ვნებებს მარტო, ეულად კი არ იკმაყოფილებენ, არამედ ცდილობენ, ყველას გააგებინონ თავიანთი „სექსუალური თამაში“ და რაც მეტი ადამიანი შეიტყობს ამის შესახებ, უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობენ. ამისათვის მათ იპოვეს შესაბამისი ტელევიზია, რომელიც ტყავის მათრახის, ალიკაპის ფუნქციას ასრულებს. ზუსტი დიაგნოზის დასმის შემდეგ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ამ საცოდავების მკურნალობის ხარჯები.

საშინელი ტრაგედია მოხდა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე. მამინაცვალმა მხეცურად მოკლა 25 წლის ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა...

ამ წერილის დაწერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ პირველ რიგში შემძრა საზოგადოების გამოხმაურებებმა და მეორეც — გამოჩნდა ძალიან ბევრი ისეთი ნიუანსი, რომელიც ქვეყანაში ნაჩქარევად და უაზროდ დაწყებულმა დემოკრატიის პროცესმა გამოავლინა. გამოავლინა ხელისუფლების დამოკიდებულება ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების „მშენებელთა“ იმ მოთხოვნებისადმი, აბსოლუტურად, რომ დაშორებულია რეალობას, დაშორებულია იმ გამოწვევებს, რაც დღეს ქვეყანაში აქტუალურია და უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგები მოაქვს.

იმ უამრავი პრობლემის გარდა, რაც ამ ე.წ. „პრეზიდენტის“ აპარატში არსებობს, დავინახეთ, რომ შეწყალების კომისიაში, ძალიან რბილად რომ ვთქვა, საქმე ძალიან ცუდადაა. დავინახეთ, რომ ეს მხოლოდ ამ კომისიის ნაკლი არ არის.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერთ-ერთი მსჯავრდებული შეწყალების საფუძველზე ისე გაათავისუფლა, რომ მის საქმეზე სასამართლო განხილვები დასრულებული არ იყო.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე დავა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა. „2016 წლის 27 მაისს პოლიციაში დაიწყო გამოძიება საქმეზე გ. უ. — ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე. გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 27 მაისს, ღამის საათებში, ნ. თ. — მ სიტყვიერი შელაპარაკების ნიადაგზე განიზრახა გ. უ. — ს მოკვლა და დანისმაგვარი საგნით სახის, მუცლის ღრუსა და ტანის არეში არაერთი ჭრილობაში მიაყენა. 2016 წლის 28 ივნისს სამართალდამცავების მიერ დაკავებულ იქნა ძებნილი ბრალდებული.

2017 წლის 24 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, შეიცვალა ნ. თ. — ს საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი პროკურატურის მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოთხოვნილია ნ. თ. — ს დამნაშავედ ცნობა მკვლელობის მცდელობაში.

საქმე ამჟამად განხილვის სტადიაზეა, თუმცა მსჯავრდებული საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელისაგან, — აცხადებენ პროკურატურაში.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ მსგავსი სიტუაცია, ფაქტობრივად, ყველგანაა. ყველგან, სადაც ხელმძღვანელობის სადავეები, ე.წ. „ცივილიზებულად მოაზროვნე“ ხალხს აქვს ხელში ჩაგდებული.

დავიჯერო, არანაირი მექანიზმი არ არსებობს ამ სერიოზული პრობლემის გამოსასწორებლად? დავიჯერო, არ შეიძლება იმ უსაქმური და უცოდინარი ხალხის მოცილება ამ აუცილებელი და მეტად საჭირო დაწესებულებიდან?

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ დასავლური ორგანიზაციების რაღაც რეზოლუციების კითხვა და იქიდან საზეპიროების სხაპასხუპით მოყოლა, საქმის ცოდნას არ ნიშნავს. ხომ ხედავთ, რომ ეს ე.წ. ლიბერალობანას, არასამთავრობოებობანას და დემოკრატობანას თამაშმა, ფაქტობრივად, ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა.

შსს-ს ინფორმაციით, **სამინისტროს მიერ ბოლო სამი თვის განმავლობაში ოჯახში ძალადობის ფაქტზე 800-ზე მეტი პირი იქნა დაკავებული და 1400-ზე მეტი შემაკავებელი ორდერი გამოიცა. ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით სამინისტრო გააგრძელებს მკაცრი პოლიტიკის გატარებას ძალადობის თითოეულ ფაქტზე, თუმცა ამ პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულება შეუძლებელი იქნება, თუ მკაცრი პოლიტიკის გატარება არ განხორციელდება ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების მხრიდან,** — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში

უკავრავად, მაგრამ რა „შემაკავებელი ორდერი“ და რის „გაფრთხილება“?

ნეტა რას ფოკუსნიკობენ! საერთოდ მოსწყდნენ რეალობას ეს „მოდემოკრატები“?

ნარკოტიკის მოხმარებაზე, რომელიც ბევრად უფრო უწყინარი დანაშაულია, იყო ადმინისტრაციული ჯარიმა და გაფრთხილება განმეორებით შემთხვევაზე უკვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

სავარაუდოდ, 99 პროცენტი „ფეხებზე იკიდებდა“ ამ „შემაკავებელ ორდერს“ და განმეორებით სჩადიოდა დანაშაულს.

აქ კი საქმე ძალადობასთან, ვიმეორებ — ძალადობასთან გვაქვს!

„ახლა მე გეტყვით ჩემს აზრს, რატომ არ შეიძლება ძალადობაზე დაჭერილი კაცის შეწყალება, თუნდაც ერთი თვე რომ აქვს დარჩენილი გათავისუფლებამდე. იმიტომ, რომ არც ერთ კაცს ამ ქვეყანაზე არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა და მოლოდინი, რომ თუ ქალზე იძალადებს, თუ ოჯახის წევრს ფიზიკურად შეურაცხყოფს, ვინმე როდისმე გადახედავს მის სასჯელს!!! ნებისმიერი მოძალადის შეწყალება სხვებსაც გაუჩენს იმ განცდას, რომ თუ ძალადობის გამო დაიჭერენ, მერე იჩალიჩებს და შეუმცირდება სასჯელი! არც ერთი შემთხვევა არ უნდა იყოს გადახედილი!!! P. S. — არანაირი პოლიტიკური კამპანიის მონაწილე რომ არ ვარ პრეზიდენტის წინააღმდეგ, აქვე მაინც გავუსვამ ხაზს. არ შეიძლება, ხალხო, თუნდაც ერთი დამატებითი დღე ვაჩუქოთ მოძალადეს! დღეს ქალი მეჯდა ეთერში, ქმარმა ორჯერ დამჭრაო და სანამ ციხიდან გამოვა, როგორმე ქვეყნიდან უნდა გავიქცე 7 წლის ბავშვითო!!! ეს უმძიმესი თემაა და არც ერთი წამით არ დაუტოვოთ მოძალადეს იმის იმედი,რომ ვადამდე ადრე დააღწევენ თავს ციხეს!“ — წერს სოციალურ ქსელში ინგა გრიგოლია.

საქართველოს პარლამენტის წევრის რატი იონათამიშვილის თქმით, **შეწყალების კომისიამ 3617 ადამიანი შეიწყალა და მათგან 575-მა განმეორებით ჩაიდინა ისევ დანაშაული და ეს ფაქტები მეტყველებს ყველაფერზე.**

მილიონჯერ მაქვს დაწერილი, მილიონჯერ მაქვს ჩემს გადაცემებში ნათქვამი ფრაზა — **დეპრესიული რეგიონი!**

საქართველო დღეს ზუსტადაც რომ „დეპრესიული რეგიონია“.

დეპრესიული ახალგაზრდა თაობა, დეპრესიული მშობლები, დეპრესიული გარემოცვა, დეპრესიული ქვეყანა, დეპრესიული, დეპრესიული, დეპრესიული...

ფინანსური პრობლემები, მევახშე, უსინდისო ბანკები, მასობრივი უმუშევრობა, დასაქმებულთა შიში ხვალინდელი დღის მიმართ და მათხოვრული ანაზღაურება. ამ დროს საშინელი კონტრასტი „ამა სოფლის მარილებთან“ დაკავშირებით, რომლებიც რეალურად ის „მარილები“ არიან, რომლებიც ხალხს გადაადგილებაში უშლიან ხელს.

ყოვლად უაზრო და არასაჭირო პრიორიტეტები. განათლების დონის კატასტროფული ვარდნა. ფასეულობების დამახინჯება.

ერთი კი ვიცი, სანამ რეალურად გადასადგმელი ნაბიჯები არ დაისახება და სანამ ქვეყნის მომავლის განსაზღვრაზე მონოპოლია ე.წ. არსებული პოლიტიკური „მოთამაშეების“ უმრავლესობას ექნება, სანამ რაღაც დეკლარაციების ან რეზოლუციებიდან ამონარიდებით მოაზროვნე ხალხს ექნება ჩვენი მომავლის განსაზღვრის უფლება, არაფერი კარგი არ გველოდება.

ქართული „სამოქალაქო საზოგადოება“ კი, იმის ნაცვლად, რომ ამ დეპრესიულ გარემოს, რეალურად უშველონ, კიდევ უფრო ამწვავებენ სიტუაციას და საზოგადოებაში არასრულფასოვნების კომპლექსს ნერგავენ.

დღეს ე.წ. ლიბერალიზმის გავლენის გამო, კვლავ აღდგა ქვეცნობიერში ჩაბუდებული არასრულფასოვნებისა და საკუთარი თავის დამნაშავედ ცნობის სინდრომი: ჩვენ მეფედ ქალი გვყავდა. ქართველები მუდამ ტოლერანტები ვიყავით. საქართველოში ზანგი მეხანძრე გვყავდა. ჩვენ ვიცნობთ პედერასტებს, მაგრამ ურთიერთობა არ გვაქვს დ.ა.შ.

უკაცრავად, მაგრამ ვისთან ვიმართლებთ თავს და რატომ?

თუ მსგავსი ტექსტების რომელიმე ავტორს რაიმე დანაშაული აქვს და ამიტომ იმართლებს თავს, მისი პრობლემაა და უნდა ფსიქოლოგს მიმართოს ან თავისი ფეხით ჩაჯდეს ციხეში.

მე პირადად სულ „ცალ ფეხზე მკიდია“ ზანგი, პედერასტი და გავლენიანი არასამთავრობოელიც. ნაბიჯი მარჯვნივ, ნაბიჯი მარცხნივ — თავად მივხედავ და ვერანაირი „შემაკავებელი ორდერი“, ან „პოლიტკორექტულობა“ ვერ შემაჩერებს.

დაბოლოს: ძვირფასო მკითხველო, უნდა გთხოვოთ, თუ ვინმე ხართ ფსიქოანალიტიკოსი, იქნებ შეაფასოთ, რამდენად სწორი დიაგნოზი დავსვი:

ჩემი აზრით, ეს ე.წ. უფლებადამცველები, არასამთავრობოელები და ა.შ. ტიპები დაავადებული არიან მაზოხიზმის სინდრომით. ისინი ცდილობენ, რომ ნებისმიერ მარტივად გადასაჭრელ საკითხშიც იპოვონ ისეთი მარცვალი, რომლითაც ბოლომდე დაიტანჯებიან და ყველაზე შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ისინი თავიანთ ვნებებს მარტო, ეულად კი არ იკმაყოფილებენ, არამედ ცდილობენ, ყველას გააგებინონ თავიანთი „სექსუალური თამაშები“ და რაც მეტი ადამიანი შეიტყობს ამის შესახებ, უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობენ. ამისთვის მათ იპოვეს შესაბამისი ტელევიზია, რომელიც ტყავის მათრახის, ალიკაპის ფუნქციას ასრულებს.

ზუსტი დიაგნოზის დასმის შემდეგ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ამ საცოდავების მკურნალობის ხარჯები.

სანამ სპეციალისტები კარგად შეისწავლიან ამ პრობლემას და დასკვნას დადებენ, საზოგადოებას ისღა დაგვრჩენია, რომ ან სრულად უგულებელვყოთ ისინი, ან უბრალოდ, დავცინოთ და ხელისუფლებისგან გამოფხიზლება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოვითხოვოთ.

გია გაბრიჭიძე

„სარგსიანის ერთი თხოვნა და რუსი სამხედროები ერევნის ქუჩებში გაჩნდებიან!“

„სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი თავისი დიდხნიანი მართველობისა და კრიმინალურ სამყაროსთან კავშირების გამო მობეზრდა სომხებს, ამიტომ ქვეყანაში რევოლუცია დაიწყო“, — წერს ისტორიკოსი და რუსი ოპოზიციონერი ანდრეი ზუბოვი. ის მიიჩნევს, რომ მოსკოვს ერევნის მოვლენები მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რომ შეინარჩუნოს მომავალში სომხეთში რუსული სამხედრო ბაზები. „წარმომიდგენია, როგორი შიშით უყურებს კრემლი ახლა სომხეთს, სომხეთში რუსული ჯარები დგას, სარგსიანის ერთი მოთხოვნა და ისინი ერევნის ქუჩებში გაჩნდებიან. კრემლი ამას გააკეთებს, ისევე როგორც მოახდინა ყირიმის ანექსია და გათიშა „ტელეგრამ-მესენჯერი“, — წერს ანდრეი ზუბოვი და იქვე აღნიშნავს, რომ, თუკი რუსი სამხედროები ძალას გამოიყენებენ, სომეხი ხალხი რუსეთს სამუდამოდ შეიძულებს.



ტრამპი და მელანია

ქალებსა და ქორწინებაზე

ქალებს მშვენივრად შეუძლიათ თამაში. ვინც ბევრად გონიერია, თავს იკატუნებს და ისე გამოიყურება, ვითომ აზიზ-მაზიზი და შეჭირვებულია, მაგრამ შინაგანად ნამდვილი მკვლელია. ვინც გამოთქმა „სუსტი სქესი“ მოიგონა ან ძალიან მიამიტი ვინმე იყო, ან იხუმრა. არაერთხელ ისიც მინახავს, ქალს როგორ გადაჰყავს კაცი თავის ჭკუაზე თვალის ერთი მოძრაობით, ანდა სულაც სხეულის სხვა ნაწილის მცირე შერხევით.

* * *

ამქვეყნად ყოვლის უფრო მეტად ქალებს ვეტრფი, მაგრამ სინამდვილეში ისინი ისეთები არ არიან, როგორადაც წარმოუდგენიათ. ისინი მამაკაცებზე გაცილებით უარესნი არიან, გაცილებით აგრესიულები და, ღმერთო ჩემო, არც გონიერებასთან არიან მწყრალად. სხვანაირად არ გამოვა — ჯეროვანი უნდა მივუზღათ და მივულოცოთ ის დაუჯერებელი ძალა, რასაც ისინი ფლობენ და რასაც მამაკაცები უარყოფენ.

* * *

ფემინისტი ქალების უფლებებისთვის მებრძოლი არა ვარ, მაგრამ არც ვეწინააღმდეგები იმათ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა სქესისაა ადამიანი, რომელსაც სამუშაოზე ვიღებ, ანდა რომელსაც დავალებას ვაძლევ.

* * *

თავშესაქცევად. დედაჩემი მთელი თავისი ცხოვრება დიასახლისი იყო. მაგრამ ამასთანავე შევამჩნიე, რომ ბევრ სახელმძღვანელო თანამდებობაზე ჩემთან ქალები მუშაობენ და ყველაზე წარმატებულ მუშაკებს შორის არიან, ხშირად ხდება ასე, ისინი გაცილებით წარმატებულნი არიან, ვიდრე კაცები, რომლებიც იმათ გარშემო ტრიალებენ.

* * *

გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ ფრიად რომანტიკული ბიჭი ვარ. რომანტიკასა და ტრფიალს რომ არ ეჭიროს ჩემს ცხოვრებაში ძირითადი ადგილი, საიდან უნდა ამომეხაპა ძალა და შთაგონება იმისათვის, რათა უკეთესი გავმხდარიყავი? ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც მიყვარან ქალები. ისინი დიდი მოტივატორები და შთამაგონებელნი არიან, ვფიქრობ, ყველა პატიოსანი კაცი დამეთანხმება. სწორედაც სასიყვარულო ტანჯვა და ვნება გვხდიან უკეთებს, გვაიძულებენ, რომ სულ უფრო მაღლა ვიჩოჩოთ და გავძლიერდეთ ახალი ცოდნით. სიყვარული საფუძვლად უნდა ედოს მრავალ საარსებო გადაწყვეტილებას.

* * *

ახლა რომ დავდგე და ყველა ის ამბავი მოვყვე, რა ურთიერთობაც მქონია ქალებთან, რომელთაც, მგონი, ჩემთან ქორწინებით ბედნიერებად იგრძნეს თავი და მაღალი მდგომარეობა ეჭირათ, მაშინ ეს წიგნი ბესტსელერი გახდებოდა.

დიდი სიამოვნებით მოვყვებოდი ყველაფერს და გამოვიყენებდი რეალურ სახელებს და იმ ადგილების სახელწოდებებს, სადაც ეს ხდებოდა, მაგრამ არა მგონია, რომ ეს სწორი იქნებოდა.

* * *

ლოგინში არცროდის მქონია პრობლემები, მაგრამ მართლა რომ ვწოლილიყავი და მართლა მქონოდა კავშირი იმის ნახევარ ამომავალ ვარსკვლავ მსახიობ ქალიშვილებთან და მძლეოსან ყმაწვილ ქალებთან, როგორც გაზეთები წერდნენ, უბრალოდ სუნთქვისთვის დრო აღარ დამრჩებოდა.

* * *

ერთ-ერთი პირველი რამ, სადაც თავი შევყავი, ლე კლაბი იყო, ყველაზე ვნებაწაკიდებული, ცხელი ადგილი ქალაქში, და იქნებ ყველაზე ექსკლუზიურიც — როგორც სტუდიო 54 ჩემი გაფურჩქნის ხანაში. ის მდებარეობდა 54-ე ისტ-სტრიტზე და იქ თავს იყრიდნენ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მამაკაცები და ყველაზე ლამაზი ქალბატონები... ჩემთვის ეს იყო სოციალური და პროფესიული გარღვევა. იქ ბევრ ულამაზეს მარტოხელა ქალს შევხვდი და თითქმის ყოველ ღამეს იქ ვატარებდი. სინამდვილეში არცერთ იმათთაგანთან სერიოზული ურთიერთობა არა მქონია. ისინი უბრალოდ ლამაზმანები იყვნენ, უმრავლესობას საუბარში აყოლაც არ შეეძლო. ზოგიერთნი ზერელენი, არასერიოზულნი იყვნენ, ზოგნიც შეშლილნი, ბევრნიც ველურნი და მიუკარებელნი, ბლომად ერიათ თაღლითი და მატყუარაც. მაგალითად, მე ეგრევე მივხვდი, იმათი შინ მიპატიჟება არ შეიძლებოდა, აუცილებლად რაღაც უბედურებას გადაგყრიდნენ.

* * *

მახსოვს ერთი დიდებული ვახშამი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთმა ფრიად პატივცემულმა ადამიანმა გამართა. მე კეთილშობილური წარმომავლობის მდიდარი ლედის გვერდით დამსვეს. ლედის ქმარი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა და მე და ლედი ტკბილად, საკმაოდ გულღიად ვლაპარაკობდით. უცაბედად იმისი ხელი ჯერ მუხლზე ვიგრძენი, მერე ბარძაყზე. ერთი სიტყვით, ლედი აშკარად „მეთომარებოდა“, ყველა შესაძლებელ ხერხს იყენებდა. მე შევხედე და ვუთხარი: „ყველაფერი წესრიგშია?“ არ მინდოდა სცენის მოწყობა დარბაზში, სადაც 500 ვიპ-სტუმარი იყო. ყველაზე საკვირველი ის გახლდათ, რომ ნაღებთა ნაღებს წარმოადგენდა. მერე მან საცეკვაოდ გამიწვია, მე დავეთანხმე. სანამ ვცეკვავდით, ის კიდევ უფრო დაჟინებული გახდა და ვუთხარი: „გამიგონეთ, ჩვენ პრობლემა გვაქვს. თქვენი ქმარი და ჩემი ცოლი იმ მაგიდასთან სხედან“.

„დონალდ, — თქვა მან, — ჩემთვის სულერთია. უბრალოდ სულერთია. მე ხელში უნდა ჩაგიგდოთ და ეს პირდაპირ ახლა უნდა ვქნა“. დაგირეკავთ, ვუთხარი, ოღონდ ახლავე შეწყვიტეთ ეგ ლაპარაკი-მეთქი. მაიძულა დარეკვის პირობა მიმეცა. მართლაც დავურეკე, მივემშვიდობე, და ამ ერთი ზარით დამთავრდა ყველაფერი. ეს ამბავი იშვიათი სულაც არ გეგონოთ, ასე ხდება მუდმივად.

* * *

„მოწაფედ“ სახელდებულ რეალითი-შოუზე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ქალები განურჩევლად მეფლირტავებოდნენ. ეს სავსებით გასაგებია, ადამიანებს შორის ყოველთვის არის სექსუალური დინამიკა; ის მხოლოდ მაშინ არ არის, თუ თქვენ ასექსუალი ხართ.

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე

__დონალდ ტრამპი__ ახალი მოვლენაა პოლიტიკაში. ბევრი ამერიკელი ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ შოკში ჩააგდო. ის დღეს უკვე ისეთ განცხადებებს ახმიანებს, რომელთაც სულ სხვადასხვაგვარად აღიქვამენ: ზოგს იგი რევოლუციონერად და მეოცნებედ მიაჩნია, ზოგსაც — შეშლილად, თუმცა, ტრამპს არჩევნები რომც წაეგო, შესაძლოა, ეს ექსცენტრიული პიროვნება 2016 წლის ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ პოლიტიკოსად მიგვეჩნია.

თავიდანვე გაჩნდა კითხვა — მხარს დაუჭერდა თუ არა დონალდ ტრამპი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ აღებულ კურსს. როგორც ჩანს, ეს მთლად ასე არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება იმის მტკიცება, რომ ტრამპი შეშფოთებულია ამჟამად მსოფლიოში შექმნილი ვითარებით და იგი არანაკლებ ყურადღებას დაუთმობს საგარეო პოლიტიკას, ვიდრე საშინაოს.

* * *

ნატოსთან ყოველგვარი ძლიერი კავშირების მიუხედავად, უკრაინაში უწესრიგობაა. ყირიმი წაღებულია. ამ ამბავში მე ნუ დამადანაშაულებთ.

* * *

ერაყის ომის დასაცავად გამართული მარშის დროს ვიღაცამ ასეთი ხუმრობა გამომიგზავნა: „როცა შეიგნებ, რომ საუკეთესო რეპერი თეთრია, საუკეთესო მეგოლფე — ზანგი, ხოლო გერმანიას ომში ჩაბმა არ სურს, ხვდები: მსოფლიო ნამდვილად შეიცვალა“.

* * *

თქვენ უკან დაბრუნება გსურთ, თქვენ მესამე მსოფლიო ომის დაწყება გსურთ, რათა ყირიმი უკან დაიბრუნოთ?

* * *

გაერო ესოდენ დიდი პოტენციალის მქონეა, თუმცაღა ამჟამად ეს მხოლოდ ადგილია, რათა ერთად შეიკრიბონ, დაილაპარაკონ და სასიამოვნოდ გაატარონ დრო. ეს სანაღვლელი ამბავია.

* * *

ერი, რომელსაც საზღვრები არა აქვს, ერი არ არის.

* * *

შევა უკრაინა ნატოში თუ არ შევა, ჩემთვის სულერთია. შევა — ჩინებულია, არ შევა — მაინც ჩინებულია...

* * *

მე ყოველთვის წარმომედგინა, რომ რუსეთი და შეერთებული შტატები ერთიმეორესთან კარგი მუშაობის მდგომარეობაში იქნებოდნენ, რათა მოვრეოდით ტერორიზმს და აღგვედგინა მშვიდობა მთელ მსოფლიოში, უკვე აღარაფერს ვამბობ ვაჭრობაზე და სხვა სარგებლობაზე, ურთიერთპატივისცემიდან რომ გამომდინარეობს.

* * *

დიახ, განზრახული მაქვს უზარმაზარი კედლის აშენება მექსიკასთან გამავალ საზღვარზე და ვინაიდან ჩემზე უკეთესად და ეფექტურად არცვის არ შეუძლია კედლების შენება, მე ბევრად იაფად ავაშენებ. ისე ვიზამ, მექსიკა თვითონ გადაიხდის ამ კედლის საფასურს. გახსოვდეთ ჩემი სიტყვები.

* * *

როცა მექსიკა ადამიანებს გვიგზავნის, ისინი ყველაზე საუკეთესონი არ არიან. ის თქვენ არ გაგზავნით, ის იმ ადამიანებს აგზავნის, ვისაც უამრავი პრობლემა აქვს და იმათ ეს პრობლემები ჩვენთან მოაქვთ. მოაქვთ აგრეთვე ნარკოტიკები, მოაქვთ დანაშაულობანი. ისინი მოძალადეობენ, საერთოდ ძალმომრეობენ. ზოგიერთნი, არ გამოვრიცხავ, კარგი ადამიანებიც არიან.

* * *

რას ამბობთ, მე რა, ჩინეთი არ მიყვარს? ოდესღაც ერთ ჩინელს 15 მილიონად მივყიდე ჩემი სახლი. ამის შემდეგ, როგორ შემიძლია იმისი ქვეყნის სიძულვილი?

* * *

ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატები, სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზებს მოვძებნით, ოღონდ იმ გაგებით, რომ ყოველი ქვეყნის უფლებაა: პირველ ადგილზე დააყენოს თავისი საკუთარი მიზნები.

* * *

ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატები ორ უბრალო წესს დავიცავთ — ვიყიდით ამერიკულს და ამერიკელთ სამუშაოს გავუჩენთ.

* * *

ქვეყანა მანამ არის ცოცხალი, სანამ ამ ქვეყნის ხალხი იბრძვის.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები როგორც ერი, ცოცხალია, ვიდრე კიდევ უფრო მეტს ესწრაფვის.

* * *

სანამ ცოცხალი ვარ, თქვენთვის — ამერიკელებისთვის ვიბრძოლებ და არასოდეს არ გიმტყუნებთ.

* * *

შეხედეთ, როგორ ვიქცევით ერაყში, ვაშენებთ სკოლებს და გაგვყავს გზები, მერე კი ვიღაც აფეთქებს სკოლას, ჩვენ ახალს ვაშენებთ, მერე ახლა ვიღაც გზას აფეთქებს, ჩვენ ხელახლა ვაგზავებთ, მაგრამ ყოველივე ამასთანავე, ბრუკლინში სკოლა ვერ აგვიშენებია.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა უკრაინას, ოღონდ უფრო სიტყვებით, ვიდრე საქმეებით. ჩვენი პრეზიდენტი არასაკმარისად ძლიერია და იგი ვერ აკეთებს უკრაინისთვის იმას, რისი გაკეთებაც მართებს.

* * *

ჩემი აზრით, შეერთებულ შტატების მთავარი პრობლემა პოლიტკორექტულობისკენ სწრაფვაა.

* * *

თქვენ მარტო შეხედეთ ჩვენს საზღვრებს, რაღა შვეიცარიული ყველი და რაღა ისინი! ვისაც უნდა, ეგრევე შემოაღწევს ქვეყნის შიგნით.

* * *

მე არ მომწონს, რაც უკრაინაში ხდება, მაგრამ ეს პრობლემა გაცილებით უფრო ევროპას ეხება, ვიდრე ჩვენ. ამიტომაც ევროპელებმა თავიანთ თავზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ.

* * *

მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ევროპის სხვადასხვა ნაწილის ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ, რათა დაეხმარონ უკრაინას. არა მგონია, რომ უკრაინა ჯეროვნად პატივმიგებულია სხვა ქვეყნებისგან. არადა, უკრაინა სრულად იმსახურებს ასეთ პატივგებას, რაც არაერთხელ დაამტკიცა.

* * *

ჩვენ ვიბრძვით უკრაინისთვის, მაგრამ იმისთვის სხვა მეტი არცვინ არ იბრძვის, გარდა თვითონ უკრაინისა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ვფიქრობ, უპატიოსნო და არალოგიკურია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-80

ქალებთან ჩემი პრობლემები უფრო მეტად იმაში მდგომარეობდა, რომ იმათ ვადარებდი ჩემს შესანიშნავ დედას მერი ტრამპს. დედაჩემი უჭკვიანესი ქალია.

ეროვნული ნიჟარაძე

სხვა თეატრი



ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია.
ტიციან ტაბიძე.

ტაბიძეების **გვარი ორმა დიდმა მგოსანმა გააუკვდავა: გალაკტიონმა და ტიციანმა. ისინი ერთ სოფელში დაიბადნენ, ჭყვიშში, მდინარე რიონის პირას, გვერდიგვერდ მდგარ სახლებში, როგორც ღვიძლი ბიძაშვილები. უთუოდ რომელიმე მათ საერთო, შორეულ წინაპარს ჰქონდა ღვთით ბოძებული მგოსნური ნიჭი, თუმცა კი რაიმე საჩინო კვალი არ დაუტოვებია. სამაგიეროდ, ეს შთამომავლობითი ნიჭი თაობიდან თაობაში გადავიდა და ბოლოს, XIX საუკუნის მიწურულს, ორ ჭყვიშელ პატარა ბიჭუნაში გაცოცხლდა საკვირველი ძალით.**

მათი ცხოვრება ჰგავდა ორად განტოტვილ მდინარეს, რომელიც ერთი საერთო სათავიდან იწყება, შემდეგ კი იყოფა და თავისი სადინარით მიედინება ზღვისკენ, საერთო შესართავისკენ, რომელსაც ყველა ენაზე მოკვდავთათვის – დავიწყება, რჩეულთათვის კი – უკვდავება ჰქვია.

გარეგნული და შინაგანი მკვეთრი განსხვავებულობის მიუხედავად, იყო მათ შორის მსგავსებაც. მსგავსება, უპირატესად, ორივეს ბედისწერაში გამოხატული.

ისინი ერთ გარემოში, მეტ-ნაკლებად ერთნაირ პირობებში აღიზარდნენ. მათი მამები – ძმები ვასილ და სიმონ ტაბიძეები, მღვდლები იყვნენ, მღვდლობა კი ჩვენში, როგორც წესი, წიგნიერებასთან იყო დაკავშირებული. განსხვავებით ძმისგან, ვასილი სოფლის მასწავლებლად იყო დასაქმებული, ასე რომ, სწავლის ფასი და მნიშვნელობა ორივე ოჯახს კარგად მოეხსენებოდა. გალაკტიონი იმთავითვე დაჩაგრა ბედმა, რადგან ცუდ ვარსკვლავზე მოვლენილი ვასილი, მის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა. არც გალაკტიონს და არც მის უფროს ძმას აბესალომს მამის მხარში დგომა არ ღირსებიათ. მამის ხატს სხვა ვინ შელეევია, რომ ქართველი მგოსანი შელეოდა და აი, 24 წლის შვილის მიმადლებულმა წარმოსახვამ მას სამუდამო სიცოცხლე მიანიჭა: **„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?! წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული. გაშალა ველი ნელმა ნიავმა, და მელანდება მე მის წიაღში, მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში. აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემგვანება! ისევ აყვავდა მდელო და კორდი!.. დავდივარ, ვწუხვარ და მენანება!“ (მამული).**

წერა-კითხვა პატარა გატუნიამ და ტიტიკომ საკუთარ სახლებში შეისწავლეს და მათი პირველი მასწავლებლები დედები: ეკატერინე და ელისაბედი იყვნენ.

ოჯახიშვილობა და აღზრდილობა მათ დედის რძესთან ერთად შეიწოვეს და, ერთი მათი მოძმის და თანამოსაგრის გიორგი ლეონიძის ტაეპისა არ იყოს, **„დედის ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოაბრწყინეს.“**

რიონის ჭალების მეფურმა დიდებულებამ, გურიის მთების და ხვამლის შთამბეჭდავმა ხედებმა, იმერეთის ცის თვალშუდგამმა სიმაღლემ და სხივიერებამ ადრეულ ასაკშივე გააღვიძა მათი შემოქმედებითი ნიჭი და ორივე ფიქრისკენ, ოცნებისკენ, მშვენიერებისკენ მიდრიკა. მართალია, ისინი ამ ბუნებას სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ, მაგრამ ამ აღქმას საერთომგოსნური, ქვეცნობიერი სხივი ანათებდა.

წვეთწვეთობით, მაისის თაფლივით გროვდებოდა მათში ბავშვობის ნეტარი ხანის სიტკბო და სიმწარე, შენივთებული პირველ მთრთოლვარე, ჯერ კიდევ შეუმეცნებელ ნეტარ ხილვებთან და ზმანებებთან და იყო ეს თაფლი ერთდროულად მაბრუალაც და მათრობელაც, – სასურველიც და აუტანელიც.

ნება-ნება შედიოდა მათ სულში დიადი ზეციური სამყარო და მათი გულის ფიცარზე სამუდამოდ იწერებოდა ქვეყანა, რომლისთვისაც უნდა ეცოცხლათ, ეწერათ, ეტირათ და ეგალობათ – საქართველო!

ერთ ქალაქში წაიყვანეს სოფლიდან ორივე სასწავლებლად – ქუთაისში. გალაკტიონი სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ტიციანი კი კლასიკურ გიმნაზიაში. იქ დაეწაფნენ ისინი ცოდნის გრძნეულ წყაროს და იქვე დაწერეს თავიანთი პირველი ლექსები, რაღაცით რომ ერთმანეთს ჰგავდნენ, თუ შესრულების მხრივ არა, რაობებით მაინც, იმხანად ქართველ მგოსნებში გავრცელებულით და ფესვგადგმულით. ქუთაისშივე განიცადეს მათ 1905 წლის რევოლუციით წარმოშობილი მებრძოლი სულისკვეთების გავლენა და თავისებურად მონაწილეობდნენ კიდეც მთავრობის სადამსჯელო ღონისძიებების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში.

ორივე იმ ფესვებიდან იღებდა საზრდოს, დიდი ქართული მგოსნური ტრადიციები რომ ერქვა. ამასთან, შემოქმედების ადრეულ წლებშივე, უთანამედროვეს მგოსნურ ცდებსაც მიმართავდნენ. განიცდიდნენ გარკვეულ გავლენებსაც, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით, რამეთუ იმდენად დიდი იყო მათი მგოსნური ნიჭი, იმდენად თვითმყოფადი, რომ სხვის მიერ გაკვალული გზით სიარულს ვერ ეგუებოდა.

თითქმის ერთდროულად გაეცნენ ისინი ფრანგი და სხვა სიმბოლისტი მგოსნების ნაწარმოებებს. ვითარცა ფუტკრებმა, ამოწოვეს სიმბოლიზმის ყვავილის ტკბილი ნექტარი და მწარე შხამი. განიცადეს სიმბოლიზმის გავლენა, კეთილიც და ავიც. მათი მგოსნური ძიებებისთვის სიმბოლიზმი აღმოჩნდა ერთგვარი, დამატებითი ძრავი, ვითარცა აფრა ზღვაში შეცურებული ნიჩბებიანი ნავისთვის. თანდათანობით გააცნობიერეს სიმბოლისტური შემოქმედებითი მიდგომის სიკეთე და ნაკლი, გამოიყენეს ის როგორც მგოსნური ხერხი ადრეულ საფეხურზე და განახლებულნი, განსწავლულნი და განბრძნობილნი მიეახლნენ ქართულ კლასიკას: განავითარეს და გაამდიდრეს ქართული მგოსნური კლასიკა.

მათი სისხლისმიერი ნათესაობა და მგოსნური ერთობა ტიციანმა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში ასე გამოხატა: **„ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი, ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი, ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უჟმურები და ლექსებითაც ერთმანეთს ვერ დავემდურებით... გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი, რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა. ერთია ჩვენი სამუდამო ხაზმის ემბაზი, ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით“ (გალაკტიონ ტაბიძეს).**

ამით მთავრდება ზოგადად მათი მსგავსება და იწყება ის დიდი სხვაობა და ნაირგვარობა, რამაც ქართული მგოსნება ახალ, მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა.

მათი მგოსნური გზები სწორედ მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, როდესაც ორივე ერთსადაიმავე სიმბოლისტურ მოძღვრებას ეზიარა, და შემოქმედების გარკვეულ მონაკვეთზე ლექსწერის განმსაზღვრელ წესად, ქართული მგოსნებისთვის ახალი, თანამედროვე მიდგომა აირჩია. ამის მთავარი მიზეზი მათი მკვეთრად გამოკვეთილი შემოქმედებითი თავისებურება იყო, რომელიც, როგორც ითქვა, ვინმესთან ან რამესთან, თუნდაც განსაკუთრებულთან, მსგავსებას ვერ უთავსდებოდა.

თუ გალაკტიონის ლექსი ზოგადად სიმბოლიზმის გვირგვინად შეიძლება წარმოვიდგინოთ, ტიციანის ლექსი ქართული სიმბოლიზმის გასხივოსნებად რჩება, რასაც განაპირობებს მის მიერ სიმბოლისტური ლექსის განსაცვიფრებელი გაქართულება, მისი მიწის სურნელით და ოხშივარით გაჟღენთა, ეროვნული ტკივილით და ეროვნული ბედისწერით მისი უკიდეგანო განმსჭვალვა.

რაღაც უსაშველო შინაგანი ძალა, რაღაც საგანგებოდ მნიშვნელოვანი, თავისებური სათქმელი უნდა ჰქონდეს მგოსანს, როგორც ილიას, როგორც ტიციანს, რომ რუსთაველის ქვეყანაში რითმის კეთილხმოვანებას ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს და ყურადღება სხვა მგოსნურ შესამკობლებზე გაამახვილოს.

ისინი ბუნებითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, გარეგნობითაც. გალაკტიონი უფრო საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი, მორცხვი ბუნების ადამიანი იყო, იმთავითვე მარტოობისკენ მიდრეკილი. სიმორცხვე არც ტიციანს აკლდა და მარტოობაც საჩინოებს მის ლექსებში, მაგრამ ცხოვრებაში ის მეგობრობის ტრფიალი იყო და ჰყავდა კიდეც დიდებული მეგობრები. გალაკტიონი მარტოსული დაიარებოდა. მეგობრები, მით უმეტეს ისეთი, როგორიც ტიციანს ჰყავდა, მას არასდროს ჰყოლია, რადგან ძნელად პოულობდა ვინმესთან საერთო ენას. რაც შეეხებათ ცისფერყანწელებს, თუ ჩვენ მათ ურთიერთდამოკიდებულებას ზოგადად მეგობრობის ნიმუშად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათ შემდგომ საქართველოში მწერალს მწერალთან აღარ უმეგობრია.

მიუხედავად იმისა, რომ ტიციანი ცისფერყანწელთა მანიფესტის შემქმნელი იყო, ხოლო გალაკტიონი დიდი სიმბოლისტი, ისინი მთლიანად მაინც ვერ თავსდებოდნენ სიმბოლიზმის წრეში, რადგან ძარღვებში ქართული სისხლი უდუღდათ. ეს სისხლი უხმობდა ორივეს განუწყვეტლივ და ისინიც შემოქმედების პირველ ხანებში ქვეცნობიერად, შემდგომ კი შეგნებულად მიჰყვებოდნენ მის ძახილს. ამასთან, სხვა მიზეზიც ძალუმად მოქმედებდა, როგორც ტიციანი ამბობს გალაკტიონის პირველი წიგნისდმი მიძღვნილ წერილში: **„ქართველი პოეტი ჯერ ვერ შეიშნობს, რომ პეტრონიუსივით სიკვდილის ანტრაქტებში ეროტიული ლექსები დასწეროს“ (ტიციან ტაბიძე: მარტოობის ორდენის კავალერი).**

ამიტომაცაა, რომ ყველა ქართველი სიმბოლისტი მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე მიდის თავის ძიებებში, იმ ზღვრამდე, რომლის იქით გადაბიჯების ნებას მას ტრადიციებით ნასაზრდოები ქართული ბუნება არ აძლევს.

მგოსნური დავალება, რომელიც თავად განგებამ განუსაზღვრა ერთსაც და მეორესაც, გალაკტიონმა შემდეგი უკვდავი სიტყვებით გამოხატა: **„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არა ქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“ (ეფემერა).** ამ ტაეპებში გატარებული აზრი კიდევ უფრო გამოკვეთა ტიციანმა: **„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი.“ (მაშ, გამარჯობა).**

წარსდგნენ თუ არა ტაბიძეები თავიანთი პირველი ნაწერებით მკითხველის წინაშე, მცნობელმა, მათ თითქოსდა ნათესაურ მსგავსებაში, მაშინვე არსებითი განსხვავება დაინახა.

გალაკტიონი ცაში დაფრენდა ფრინველის დარად და მიწას ფეხს არ აკარებდა. საქართველოს ტატნობიდან კი მთელი ქვეყნიერება მოჩანდა: ეგვიპტის სამაროვნები, ელისეს მინდვრები, მოსარკული ვერსალი თუ ლურჯი მონტევიდეო.

ტიციანი მიწაზე იდგა, ქართულ მიწაზე და შიშველი ფეხისგულებით გრძნობდა ქალდეას უდაბნოს მწველ სიმხურვალეს.

გალაკტიონი, ვინც მოურიდებლად უმტვრევს ხერხემალს საუკუნის დასაწყისში ჩვენში სახადივით გავრცელებულ უღიმღამო, **„ნატურალისტურ ლექსს“,** რომელსაც, ტიციანის მახვილი შეფასებით, წერს **„მწერლობაში შემოპარული რუხი არმია მელექსეებისა“** იმთავითვე დიდ მოკრძალებას ამჟღავნებს კლასიკასთან მიმართებაში, რასაც ნათლად გამოხატავს საკუთარ მგოსნურ მანიფესტში: „ძვირფასი საფლავები“. სათაური ამ წერილისა, ჩემი დაკვირვებით, ეხმიანება ლექსში: „ქალდეას მზე“ ტიციანის მიერ უფრო ადრე დანახულ „ძვირფას საფლავებს“: **მესმის – მეძახის, ვხედავ – მხედავს, ვიჩქარი, მივქრი. ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი, დაფრინავს ფიქრი.“**

ორივე გრძნობს ერთმანეთის მნიშვნელობას და ამას ბოლომდე ანგარიშს უწევს. ტიციანი, გალაკტიონზე სულ სამი წლით უმცროსი, აღფრთოვანებულია მისი მგოსნობით. ამაზე მეტყველებს 1915 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში, სწავლის ჟამს, მის მიერ გალაკტიონის ლექსების პირველ კრებულზე დაწერილი სწორუპოვარი წერილი „მარტოობის ორდენის კავალერი“, რომელშიც ის გალაკტიონის მგოსნების ჭეშმარიტი არსის პირველაღმოჩენად და პირველშემფასებლად გვევლინება.

წერილის დასაწყისშივე, სტეფან მალარმეს სიტყვების მოხმობით ტიციანი ზუსტად გამოხატავს გალაკტიონის პირველი ლექსების განსაკუთრებულობას, მათ სულს და არსს: **როგორც მახსოვს, ჩვენთან არავინ მოსულა ასეთი უცნაური ჟესტით, გაქანებული ილუზიის ქარით, რომელიც ამბობდა: აი, მეო! ჭაბუკობისას არავისთვის გაუმჟღავნებია მას ის ბედისწერა, სადაც ანათებს აზრის ბრწყინვალება, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდილია მის მკერდზე, მარტოობის ორდენის ბრილიანტით. ასე ამბობდა სტეფან მალარმე გრაფ ვილიე დე ლილ ადანზე“ (მარტოობის ორდენის კავალერი).**

მალარმეს და ვილიე დე ლილ ადანის წრეში გალაკტიონის პირობითი შეყვანა მისი ნიჭის დიდ აღიარებას ნიშნავდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დგას 1915 წელი. გალაკტიონს ჯერ კიდევ არა აქვს დაწერილი ის ლექსები, რომლებიც მის, რიგით მეორე, გამაოგნებელ მგოსნურ კრებულში „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ შევიდა. მაგრამ ტიციანი მიმადლებული ალღოთი ამჩნევს პირველ წიგნშივე ჩადებულ **„პრელუდიებს მომავალი დიდებული ორატორიებისა“:**

მისი შეფასება გალაკტიონის მგოსნობისა არის ზუსტი და არსებითი, რადგან ის თავადაც იცნობს გზას, რომლითაც გალაკტიონი მიემართება: **„მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ჟღერენ, თითქო ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისში. ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს“** და იქვე დასძენს: „**გ. ტაბიძის ლამაზი შედარებანი და მეტაფორები უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს“. (მარტოობის ორდენის კავალერი).**

ტიციანი მათში იმთავითვე ეროვნული სულის ფეთქვას ამჩნევს: **„ლექსებიც მდიდარია პოეტური სახეებით, ამასთან ეს სახეები უშუალოდ განცდილნი არიან, შადრევანივით ჩქეფს, არ არის ძალით გამოგონებული. ყველა უაღრესად ქართული სულით ფეთქავს.“ (მარტოობის ორდენის კავალერი).**

გალაკტიონი განხატების პირველი მერცხალია საქართველოში. ამას თვითონ ტიციანიც აღიარებს: **„სიმბოლიზმი კი ოფიციალურად რამდენიმე წელია, რაც სკოლად გამოცხადდა. მაგრამ სიმბოლიზმს ჩვენში ღამეც არ გაუთევია. მხოლოდ ახლა იწყება პირველი ხაზების გახსნა. უკვე გრძნობ ახალ სიოს, – ეს გარიჟრაჟის ბურუსია და უნდა გათენდეს.“ (მარტოობის ორდენის კავალერი).**

ამავე წერილში ტიციანი საგულისხმო დასკვნას აკეთებს ქართული მწერლობის ერთ მეტად მნიშვნელოვან მხარეზე. კერძოდ, ის თვლის, რომ გალაკტიონის მგოსნობაში და მთელ მის თანამდროვე ქართულ მწერლობაში ძველებური სახეების და ისეთი სახეების გვერდით, რომლებიც სიმბოლიზმის ილუზიას ქმნიან: **„არსებობენ სხვა სახეებიც. უფრო ბევრია კიდევ სახეები სპეციფიკურ-ორიენტალისტური, რომელსაც, თუ შეიძლება, უნდა დაერქვას აზიური უკვდავი რომანტიზმი (ტერმინი ეგზოტიკა დაახლოებითაც არ სწურავს ამ ცნებას). აი ეს სახეები, მიუხედავად საუკუნოებით დაშორებისა ერთმანეთს ამსგავსებენ ეგვიპტურ პაპირუსებს და ინდურ საგალობლებს, საადისა და შოთას, ჰაფიზისა და აკაკის. ეს თავისებურება ჩვენი მწერლობისა უნდა ეგრძნო კიტა აბაშიძეს, რადგან ესთეტიკური ალღოს გარდა, მას ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის ლიტერატურულ შრომათა კლასიფიკაციაში, სადაც მხილდება ეს თავისებურება, რადგან რომანტიკოს გრიგოლ ორბელიანსაც აქვს იგი და ნატურალისტ გიორგი წერეთელსაც; ესაა ჩვენი ჩვენთაგანი და აღნიშნავს ჩვენს გზას წინა აზიაში, ხოლო ამას დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც მწერლობის, ისე ქართული ისტორიის ბუნების შესწავლისთვის.“ (მარტოობის ორდენის კავალერი).**

ეს აზრები ისევე ახალია ქართულ მწერლობაში, სახელდობრ, ქართულ მწერლობით კრიტიკაში როგორც თავად გალაკტიონის და ტიციანის მგოსნობა იყო ახალი. ეს სხვა თაობაა, სხვა მიმდინარეობა. და ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსად გამოიკვეთება სწორედ ტიციან ტაბიძე, რაც სხვა მისი შესანიშნავი წერილების გვერდით, განსაკუთრებული მკაფიოებით ჩანს „ცისფერყანწელთა მანიფესტში“.

როგორც კრიტიკოსი, ტიციანი საკმაოდ მკაცრია და მეტწილად სამართლიანი. არც შეფარული და არც მწვავე დაცინვაა მისთვის უცხო, როცა ამის საჭიროებას ხედავს. მაგალითად, იმავე წერილში, ქართული მგოსნურობის სიახლეთა საკითხზე მსჯელობისას, კარგა გვარიან ჭინჭრის სუსხსაც გაურევს: **„უკვდავ მიღწევათა აზრით, ეჭვი გვიპყრობს მომავალზე, როცა წარმოიდგენ, რომ უკვე აღიარებული პოეტები სონეტს რვა სტრიქონად სწერენ, რომ ლექსის ნოვატორად ითვლება ისეთი პოეტი, რომლის ნაჯახით გათლილი ლექსი ვერ გასცილებია რუს სიმბოლისტთა პირველ ცდას.“ (მარტოობის ორდენის კავალერი).**

აქვე ერთი ვარაუდიც: ზემოთ მოყვანილი ტიციანის გამოთქმის: **„სიმბოლიზმს ჩვენში ღამეც არ გაუთევია“,** გამოძახილი უნდა იყოს ბელა ახმადულინას ლექსის ტაეპი: **„აქ პოეზიას ღამეც არ გაუთევია“.** საფიქრებელია, რომ ქალბატონი ბელა, ვისაც გალაკტიონის ლექსები აქვს ნათარგმნი რუსულ ენაზე, ტიციან ტაბიძის მიერ მის შესახებ დაწერილ წერილსაც იცნობდა.

ტიციანი, გალაკტიონისგან განსხვავებით, ლექსის გარეგნულ სახეს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. მასში ჩაგუბებული სათქმელის თავისებურებებიდან გამომდინარე, ის, როგორც ახალი დინება, მიჰყვება ძველ სადინარს და ლექსს ახალი შინაარსით, უჩვეულო ძაბვით და საბედისწერო მუხტით ავსებს.

გალაკტიონის ლექსი სრულქმნილია. დახვეწილი. ნატიფი და ნაჩუქურთმევი.

უკიდურეს სიძულვილამდე...

ტიციანის ლექსი – პირველყოფილი ვნებებით აღსავსე. ხორკლიანი და ხაოიანი.

გალაკტიონი გალობს. სუნთქავს. ღელავს. მისნობს. ათინათობს.

ტიციანი ბღავის. იხრჩობა. იგუდება, ვიდრე სათქმელს ამოიტანს სულიდან. ამიტომ ლექსის გარსისთვის ნაკლებად სცალია.

გალაკტიონის წარმოშობა, მგოსნური ხაზით, მოდის მეხოტბეებზე, რუსთაველზე, გურამიშვილზე, ბარათაშვილზე, აკაკი წერეთელზე. მისი მიმართება კლასიკისადმი თავადაც კლასიკურია. ისე მიიღებს კლასიკას, როგორც ის არსებობს. რაც არ მოსწონს გვერდს აუვლის ხოლმე, რასაც ახსენებს პატივისცემით და თაყვანისცემით.

ტიციანის ლექსის ხაზი გამოივლის ჰიმნოგრაფებზე, სულხან-საბაზე, გრიგოლ ორბელიანზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე. მისი მიმართება კლასიკისადმი არაერთმნიშვნელოვანია და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარადაა გამოხატული. რაც არ მოსწონს, იმას უარყოფს, განსაკუთრებით ადრეულ ანათვალში. აქვს ილიასა და ვაჟასადმი მიძღვნილი წერილები. ამავე დროს, წერილში „ვაჟა ფშაველა“ ალაგ-ალაგ გაკენწლავს აკაკის.

ძმებში ძმური სიყვარული სუფევდა. პირისპირ მყოფნი თვალში რომ ჩავარდნოდნენ ერთმანეთს, თითსაც არ ამოისვამდნენ. ერთიმეორის ფასი იცოდნენ.

გაუგებრობებსაც ჰქონია ადგილი მათ შორის, მაგრამ ძირითადად სხვათა გამო. როდესაც ლექსი თუ ლექსს მიბმული რომელიმე, სხვათა ჩარევით გაბუქული, გვერდითი მოვლენა მგოსნებს დროებით ერთმანეთზე განაწყენებდა, მაშინვე ბიძაშვილობა ჩაერეოდა საქმეში. სისხლი ალაპარაკდებოდა. სისხლის ყივილს კი ვერა ძალა ვერ ერეოდა. არ უნდოდათ, რომ მათი უმძრახობა ვინმეს გაეგო. ამას ამტკიცებენ გალაკტიონის შემდეგი სიტყვები: **„ნიკოლოზ შენგელაია (...) მოწმე იყო 1922 წელს ხელოვნების სასახლეში ჩემი და ტიციანის კონფლიქტის. მე ვთხოვე ეს არავისთვის გაემხილა და მან ეს შეასრულა“ (გალაკტიონ ტაბიძე: ჩანაწერები მაგიდის კალენდრის ფურცლებზე. 05.01.1946. გამოცემაში: გალაკტიონ ტაბიძე. თხზულებანი 12 ტომად. ტ. 12. თბილისი 1975. გვ. 393).**

ვინც იმას ამბობს, რომ ისინი მუდმივ კრტიმილში იყვნენ, ჩემი აზრით, შეცდომას უშვებს. ჯერ ჩავწვდეთ, ჯერ შევისმინოთ, რას წერს ერთ-ერთ წერილში გალკტიონი თავის მომავალ მეუღლეს ოლია ოკუჯავას 1914 წლის 24 ივლისს და მერე ვთქვათ, შეეძლოთ თუ არა ამ სიახლოვეში მყოფ ბიძაშვილებს ერთმანეთის გულიდან ამოღება: **„ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე შიგ, დილას შუადღეს და საღამოს, ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონის გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიამბობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები სჯობნებია მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე. ტიტე გულზე სკდება. მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული, ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას. შემდეგ მივსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს. ტიტემ ანკესები იყიდა თევზების დასაჭერად, მე კიდევ ანკესები ვიშოვე. დავდივართ და ვიჭერთ თევზებს. ხანდახან ანკესებს დავაგებთ და ზედ თევზი მოეკიდება, პატარა ბავშვები მოგვპარავენ... ტიტემ არ იცის, რა ქნას ამ დროს. პირდაპირ უნდა მთელი ქვეყანა ძირფესვიანად ამოაგდოს, მაგრამ როცა შეხედავს, რომ მე სრულიად გულდამშვიდებული ვარ, უფრო უარესად ცეცხლდება. მე ყველაფერი ეს მიხარია ძალიან, სხვას აქ არაფერს ვაკეთებთ. დედაჩემის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ სახლში დავბრუნდი. დედას უნდოდა, როცა ჩავედი, მთელი სოფელი მოეწვია და ერთი უშველებელი ლხინი გადაეხადა. მე ეს არ ვქენი, რადგან სრულიად არ მინდოდა, სოფლის მყუდროება დამერღვია რითიმე. ჩემი ძმა სოფელში არ დამხვდა, იგი წასულიყო მთებში ნათესავებთან. სხვა შენ როგორ ცხოვრობ, ოლოლ? მე და ტიტე ხშირად ვსაუბრობთ შენზე. ტიტემ თქვა, რომ იგი** Странная **არისო. ამასთანავე მოიგონა, რომ შენ ერთხელ მას გალახვას დაპირდი. ტიტე გაკვირვებულია, თუ რატომ გინდოდა მისი გალახვა. მე ვუთხარი ტიტეს, რომ ოლიამ ერთხელ თორმეტი კაცი გალახა-მეთქი, ტიტემ პირი დააღო. მე ვიცინე და ვიცინე და ვიცინე! სულ... სულ...“. (ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან. თბილისი 1989. გვ. 174-175).**

გალაკტიონი ლაჟვარდში დაჰქრის. ტიციანი მიწაზე დგას მაგარი მუხლებით.

დავტოვოთ გალაკტიონი ახლა ცაში და მივყვეთ ტიციანს საუკუნეთა სიღრმეში მიმავალ გზაზე.

იქ, შორეულ წარსულში, თქმულების და სინამდვილის ზღვართან, შეეყრებიან პირველად ერთმანეთს ვაჟა ფშაველა და ტიციან ტაბიძე, შუახნის მთიელი გრძნეული და ახალგაზრდა ბარელი ნათელმხილველი.

ორივე წელთა კეცებით დაფარულ თქმულების წიაღში, ეძებს საკუთარ ფესვებს. ვაჟასთან ამ ძიებას ყოვლისმომცველი, საკაცობრიო სახე აქვს. ტიციანთან უფრო შემოსაზღვრული, ქართული.

ტიციანს მისი მოდგმის ფესვი და გასაგისი შუამდინარეთის და მცირე აზიის ცხელ უდაბნოებში ეგულება. მისთვის ქალდეა ის სათავეა, საიდანაც დიდი მდინარე „საქართველო“ იწყება. ეს არ არის მხოლოდ სიმბოლისტური ახირება, ან მგოსნის მიერ გამოგონილი სამყაროს საზღვრების გარემოხაზვა. ესაა წარსულის ხლართულში გამოტარებული მგოსნური ხილვა, ძიება წინარე ხანის საქართველოსი, სისხლისმიერი წინაპრის და ნათესავის, წარმოსახვითი აღდგენა დაკარგული წარსულის ზეიდუმალი ხაზის, რომელიც აწმყოში წარმოუდგენელ ზიგზაგურობას იძენს. მის ლექსებში ქალდეა ისე ხშირად და უშუალოდ წარმოჩნდება, თითქოს დროთაშორისი სხვაობა საერთოდ არ არსებობდეს: **„ასე ადიდა წინაპარმა ასტარტა მწველი, ღთისმშობლის ქება ახლა მამის ასველებს წვერებს“ (მაგი წინაპარი).**

აქ ორი, ძველი და ახალი სარწმუნოება ისე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, როგორც ეს ქართველ მთიელთა წარმოდგენაში ხდება და ვაჟა ფშაველას შემოქმედებში ჰპოვებს ასახვას.

როგორც საკუთარი ლექსის ლირიკული გმირი, ტიციან ტაბიძე ჰგავს გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ გმირს არჩიბალდ მეკეშს. არჩიბალდ მეკეშიც მისებრ ეძებს თავის ჯილაგს და სათავეს, ოღონდ ის უცხოეთიდან სამშობლოსკენ მოისწრაფის.

ტიციანი კი სამშობლოშია და საყრდენი ვერ უპოვია.

თანამედროვეობა, აწმყო მას იმედს უცრუებს და ამიტომ ფიქრით წარსულში მიილტვის. მისი იმუამინდელი მრწამსი, რომელიც არც არასდროს შეუცვლია, წარუშელელი ტვიფრით არის აღბეჭდილი ლექსში „ბალაგანის მეფე“: **„...და ვიცი მე, სიდან მოვედი, რომელი ქვეყნის ცხელი მზე მწვავდა. მე დიდი მყავდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა. და რომ ვერ ვმღერი, როგორც მე მინდა, თანამედროვეთ კი არ ვედრები – მე ძველი მახსოვს აღთქმები წმიდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები. ვარსკვლავთ ჟონგლერის, პოეტის, მაგის ვიგონებ ქებას, მაღალს, შორეულს და რესტორანში გამოღვიძებულს მეძავი მაბნევს გადამხმარ ნარგიზს. ჰკივის ორკესტრი ხმაჩახლეჩილი, ზარხოში ზანგი ბარბაცებს, ცეკვავს, მეც შერცხვენილი, ჩამოგლეჯილი მივდივარ, როცა მსახური რეკავს. ...და ბალაგანის მოვკვდები მეფედ, – რაღაც მეფური იყო ჩემს სულში; დაგვიანებულ ხმად შემიერთეთ თქვენ, ვინც მღეროდით მზეზე, წარსულში!“** მისი ლექსების რკალი „ქალდეას ქალაქები“, ქართულ, და არა მარტო ქართულ, მგოსნობაში დარჩება ნამდვილ და წარმოსახვით სამყაროთა შენივთების უთვალსაჩინოეს მაგალითად.

ახალგაზრდა და დაღვინებული ტიციანის ლექსებში თითქოსდა საკმაო გარეგანი განსხვავებაა, მაგრამ ისინი მაინც ერთი მთლიანობაა, რადგან ერთიდან გამოდის მეორე.

რომ არ დაწერილიყო მძაფრი მისნური წინათგრძნობით აღბეჭდილი რკალი ლექსებისა „ქალდეას ქალაქები“, არ გვექნებოდა დღევანდელი სახით, ის განუმეორებელი ლექსები, რომელთაც ტიციანს სამუდამოდ დაუმკვიდრეს ადგილი ქართველის გულში: „რია რია“, „მაშ, გამარჯობა“, „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“, „მეარღნეები და პოეტები“, „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი“, „მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“, „სენტიმენტალური მოგზაურობა“, „ლექსი წელკავი“ და კიდევ ბევრი სხვა.

ტიციანის შესანიშნავი წერილი ვაჟა ფშაველაზე, შესაძლოა, ერთი მხრივ, გრიგოლ რობაქიძის შეხედულებათა გარკვეული გამოძახილიც იყოს, ისევე, ვით აკაკისადმი მისი შეთამამებული დამოკიდებულება, მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ისეთი ხასიათის სათქმელი იყო დასაბამით ჩაწნეხილი, რომ ის აუცილებლად მივიდოდა ვაჟა ფშაველასთან: **„მალე თბილისში, როგორც წინათ ვაჟა-ფშაველა, მე ჩამოვიტან ხურჯინებით დაწერილ ლექსებს.“ (ილაიალი).**

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ნამყობა, უცხვირპირო დროის მიერ დაჭრილ-დაკვეთილი და გადაკეთებულ-გადაწებებულიც, ამტკიცებს, რომ გრიგოლ რობაქიძემ, ცისფერყანწელთა საძმოს დიდმოკეთემ და მხარდამჭერმა, მსოფლშეგნებითი აზრით, თქმულებითი ხილვით და ხატოვანი სიტყვით გაჯერებული საუბრებით და წერილებით, განსაკუთრებით კი ვაჟა ფშაველასადმი საკადრისი, უხუცესუმრწემესშორისი მიმართებით, გავლენა მოახდინა ტიციანზე. მაგრამ, რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებაში საკუთარი ფესვების ძიებას და თქმულებითი თუ წინარენამყოური ძირების წარმოდგენის მცდელობას, აქ ტიციანი წინ უსწრებს გრიგოლ რობაქიძეს და შეიძლება იქით ახდენს მასზე გავლენას.

სხვამ თავისი იცის, ჩვენ კი ჩვენი გვეძვირფასება (უნდა გვეძვირფასებოდეს).

ქართველი მგოსანი ვერასდროს ვერ დათმობს წარსულის ხაზს. აქ იგულისხმება როგორც ნამყოური, ასევე მგოსნური წარსული. წარსული სამუდამოდ მოქცეული მგოსნობაში. ლექსწერის ყოველი განმაახლებელი მხოლოდ იმდენად რჩება ქართველი მგოსანი, რამდენადაც ახერხებს წარმოსახვასთან ჩვენი სინამდვილის შენივთებას. რამდენადაც ინარჩუნებს კავშირს ნამყოებასთან, აგრძელებს მის ხაზს. მეტ-ნაკლებობა აქ საფუძველშივეა ჩადებული. გადახვევა-გადმოხვევაც. რკალური გარემოვლაც. მაგრამ მონყვეტა და სხვა, თუნდაც გამსწვრივი, გზით სიარული, არავითარ შემთხვევაში!

ეს რომ ასეა, სწორედ გალაკტიონმა და ტიციანმა დაამტკიცეს ყველაზე თვალსაჩინოდ.

ჯერ კიდევ „ქალდეას ბალაგანში“ წარმოთქვა ტიციანმა მრავლისმთქმელი შემდეგი სიტყვები: **„ჩემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია, ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები. გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია, მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება. ვხედავ, მოდიან ზღვა ლანდებად ბრძენი მაგები, მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით. არ მეშინია ძვირფას ძმებთან სულის წაგება და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით.“**

რა განსაცვიფრებელი მიგნებაა!

საქართველო მართლაც რომ სხვა თეატრია.

დავამატებდი: სხვა სიმღერაა, სხვა გალობა, სხვა ცეკვა, სხვა მიხვრა-მოხვრა. სხვა ბადაგი. სხვა სამსალა. ძველისძველის ძველისძველისძველი. დასაბამითის, პირვანდელის, დღემდე მოღწეული ნატეხი თუ ნაგლეჯი.

საგანი, რომელშიც იმ პირვანდელის ნამცეცი არ არის, აზრი, საიდანაც დასაბამითის დაბინდული შუქი არ გამოკრთის, ქმედება, რომელშიც ძველისძველის ძველისძველისძველის კვალი არ ჩანს, არასაკაცობრიოა და, მაშასადამე, არაქართული.

დიახ, საქართველო სხვა თეატრია!

თეატრი უკიდურესი სიყვარულის და უკიდურესი სიძულვილის.

აქ დროდადრო ისე ვთამაშობთ ერთმანეთის სიკვდილ-სიცოცხლით, თითქოს მართლაც თეატრის ფიცარნაგზე ვიდგეთ.

თეატრი თავმდაბალთა და თეატრი ამპარტავანთა. სათნოთა, ლმობიერთა, თავდადებულთა და თავგანწირულთა. ავაზაკთა, ჯალათთა და გამცემელთა. თეატრი მასხარათა, ბერიკათა და მსახიობთა. ნიღბოსანთა და უნიღბოთა.

ტიციანიც ჩვენებურია. ქართული ჭედვის და ქართული წრთობის. ნიღბის ტარებაც უწევს, სადაც ახალი დროის მერყევ ფიცარნაგზე გამოდის და ახალ დადგმაში მონაწილეობს, მაგრამ, როდესაც ამბობს: **„და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით“,** მაშინ მგოსანი მარადისობის მყარ სცენაზე დგას, როგორც წინაპრის უგრიმო, ცოცხალი განხატება. შიშველი ნერვივით ფეთქავს, წუხს, ხარობს, იწვის და იფერფლება.

მას არ გააკეთებინეს რისი კეთებაც სურდა. არ ამოასუნთქეს. არ გაახარეს. ფრთები ბოლომდე არ გააშლევინეს. არ სურდათ, რომ საქართველოს გეშალა ფრთები და გაესწორებინა იმთავითვე სწორად მომავალი, უკანასკნელ ხანს გამრუდებული გეზი. გეზი, რომლის გასწორებამდე ჯერ კიდევ შორი და მამულის ერთგულ შვილთა (მათ შორის, გალაკტიონის) სისხლით მორწყული გზა იდო.

ტიციანის პირით ხომ საქართველო ღაღადებდა თვის ტკივილს და სიხარულს, ამაღლებას და დაცემას, სიკეთის სამსახურად მოწოდებული დასაბამითი ქვეყანა, რომლის პირველბგერებჩართულ, პირველჰანგეებჩაწნულ სიმღერას ველური სისასტიკით ახშობდა ულმობელი წუთისოფელი.

დღეს ტიციანის ბევრი აზრი, ბევრი ტაეპი, სულ სხვა კუთხით იშლება ჩვენ წინაშე. თითქოს იმ კუთხით, რომლითაც, თვითონ ხედავდა მგოსანი. მისი მგოსნობა აღსავსეა, ერთი შეხედვით, უცნაური ხილვებით, რომლებიც შემდგომში მისნურ წინასწარმეტყველებად აცხადდნენ: **„საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს, მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.“** (პაოლო იაშვილს).

ტიციანიც და პაოლოც მგოსნობით დაიღუპნენ!

– ძალიან ხმაურობთ შვილებო! – გაუფრთხილებია ისინი პაოლოს მამას, ჯიბო იაშვილს, მაგრამ მათ გაფრთხილება ყურთ არ უღიათ. მუდამ ცხოვრების შუაგულში მყოფთ, სურდათ, თავიანთი წილი წუთისოფელი ბოლომდე გაეხარჯათ.

მათ ნიჭს და სიბრძნეს, სილაღეს და სიჩაუქეს ვერ იტანდნენ საქართველოს სულთამხუთავი ებგურები. **„ახალი ქრისტეს ოთხი დავრჩით მახარობელი – პაოლო, გრიგოლ, ვალერიან, მე იოანე. – ჩემი ორპირი პატმოსია გაულხობელი, რიონის ფშანი – ნათლიღების დღეს იორდანე. ყველანი წავალთ. გადატყდება ხმალი ვადაზე და პოეზიაც სიკვდილის წინ თვალს არ გაახელს, ჟრუანტელიან აგონიის გაგუდულ ხმაზე ოთხი საყვირი დაიყვირებს ოთხთავე სახელს“ (დროშა ქიმერიელთ).**

„ჟრუანტელიანი აგონია“ – ტიციანამდე გაგონილა?

პაოლო და ტიციანი (იოანე) დაიღუპნენ. მათი ხმალი „ვადაზე გადატყდა“. გრიგოლ რობაქიძე უცხო ცის ქვეშ შეხიზნული იტანჯა 32 წელიწადი. მხოლოდ ვალერიან გაფრინდაშვილი გარდაიცვალა მწარედ დათრგუნული თავის საწოლზე.

ესეც *„ახალი ქრისტეს“* – ახალი ქართული მწერლობის *„ოთხი მახარობლის“* წამებული სახელი!

ტიციანი თითქოს წინასწარ გრძნობს თავის მომავალ ხვედრს და ტირის: **„მარტო ვიქნები, მარტოობას წინასწარ ვტირი, მაგრამ ამასაც აღარ უფრთხის გვიანი მწირი.“ (ქალდეას მზე).** მართლაც მარტო იყო ის თავისი აღსასრულის მწარე დღეს. არავინ იყო მის ახლოს, არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესავი, არც მეგობარი. მისი გული ალბათ იყო გაყინული ისევე, როგორც მაშინ, როდესაც მამის სიკვდილით შეძრული წერდა: **„ცივია გული, ისე ცივი, ვით ქვა სალესი“ („მღვდელი და მალარია“ კუბოში“).**

ვინ იცის, რას ფიქრობდა მგოსანი სიკვდილის წინ, მაგრამ მას აუცილებლად მოაგონდებოდა გალაკტიონიც, და ისევე, როგორც შვილს და ცოლს, გულში პირჯვარს გადასწერდა. უთუოდ გალაკტიონიც გაიხსენებდა თვითმკვლელობის წინ უგზოუკვლოდ დაკარგულ ტიციანს და იმქვეყნად მასთან გარდაუვალი შეხვედრა ახლოს მოეჩვენებოდა.

ამ გარდუვალობას ასხივებენ ტიციანის დედის, ელისაბედის სიტყვები, რომლებშიც ორთა, ღვიძლთა, დაუოკართა, სამარადჟამო განუყოფლობა წინასწარ არის ჩათქმული და ჩადუღაბებული: **„მახსოვს ორსულად ვიყავი. ტიციანი დაბადებული არ იყო. ვიწექი. ახალ წლის ღამეს ჩემმა დედამთილმა შემოიყვანა გალაკტიონი, ჯერ პატარა, ფეხზე ვერ დადიოდა და ლოგინში შემომიგორა: კარგი ფეხის არისო! როდესაც გათენდა, მე წამოვდექი, რანაირადაც არ მიჭირდა, ოთახში გავიარე. პირველად იმ ახალ წელიწადს დღეს ნელა დადგა ფეხზე და გაიარა გალაკტიონმაც. მან ფეხი აიდგა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.“ (გალაკტიონ ტაბიძე: ბიცოლა ელისაბედი. გამოცემაში: გალაკტიონ ტაბიძე. თხზულებანი 12 ტომად. ტ. 12. გვ. 210-211).**

ეს განუწყვეტელი უბედობა უმძიმესი ხვედრია ქართველ მწერალთა: დავით გურამიშვილი უკრაინაში, ზუბოვკაში დაიმარხა სოფლის შემოურაგვავ სასაფლაოზე, ბესიკი – რუმინეთში, იასში, გრიგოლ რობაქიძე – საფრანგეთში, ლევილში. ისინი ბედის უკუღმართობამ გადახვეწა უცხოეთში, სადაც მარტოობაში აღესრულნენ და თან წაჰყვათ საქართველოში დამარხვის ოცნება.

მაგრამ, მათგან განსხვავებით, მოკლულ ტიციანს საფლავიც არ ეღირსა.

ამაოდ ემუდარებოდა ახალგაზრდობაში მგოსანი ღვთისმშობელს: **„სად დავისვენებთ, სად დავაწყობთ ძვლებს, გემუდარებით – გვითხარი დედა!“ (თეთრი სიზმარი).**

და არავინ, ერთმაც კი არ იცის დღეს სად „დაისვენა“ სამუდამოდ ტიციან ტაბიძემ. სად, ვის ცივ მიწაში „აწყვია“ მშობლიური მიწის ღირსი მისი ძვლები.

ჩვენი, თანამედროვეთა, ტრაგედია და განწირულობა კი იმაშია, რომ ვერც ეს, მისი სიკვდილის საზარელი მაგალითი, შეგვაჩერებს განდიდების ვნებით შეპყრობილთ, სხვისი სიკეთის ხილვით თვალამღვრეულთ და გულგასენილთ.

ბერლინი, აგვისტო 2001 წელი

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ კანონი არსებითად შეიცვალა

პარლამენტმა 75 ხმით — ერთხმად, „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ნორმების გამკაცრებას მხარი დაუჭირა.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ მესამე მოსმენით დაამტკიცეს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონში ცვლილები.

ახალი ინიციატივის თანახმად, **იცვლება „ქურდული სამყაროს“, „ქურდული სამყაროს“ წევრის, „კანონიერი ქურდის“, „ქურდული გარჩევის“ დეფინიციები და ამასთან, ემატება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: — „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა და „ქურდული შეკრება“.**

ცვლილებების მიხედვით, აღნიშნული დეფინიციები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ქურდული სამყარო“ — პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც შეთანხმებულია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაზე.

„ქურდული სამყაროს“ საქმიანობა — „ქურდული სამყაროს“ წევრის ან „კანონიერი ქურდის“ მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, „ქურდული შეკრების/გარჩევის“ გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის, “კანონიერი ქურდისთვის“ ან სხვა პირისთვის სარგებლის მიღება, ძალაუფლების ან გავლენის მოპოვება.

„ქურდული სამყაროს“ წევრი — პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, აგრეთვე, პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და სახეზეა აშკარად გამოხატული ნიშნების ერთობლიობა, რომ პირი თავისი ქმედებით გამოხატავს მზადყოფნას, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.

„კანონიერი ქურდი“ — პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან ორგანიზებას უწევს „ქურდულ სამყაროს“ ან „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებულ პირთა გარკვეულ ჯგუფს.

„ქურდული გარჩევა“ — „ქურდული სამყაროს“ წევრის „კანონიერი ქურდის“ მიერ პირის ქმედების შეფასება ან დავის განხილვა-გადაწყვეტა ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელების მიზნით.

„ქურდული შეკრება“ — ორი ან მეტი პირის შეკრება ან ნებისმიერი ფორმით დაკავშირება (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით) „ქურდულ სამყაროში“ პირთა გაწევრების ან წევრობის შეწყვეტის ან სტატუსის შეცვლის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსურ-მატერიალური რესურსების განკარგვის ან ნებისმიერი სხვა საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

შესაბამისი ცვლილებები, გამკაცრების თვალსაზრისით, აისახება „სისხლის სამართლის კოდექსშიც“, კერძოდ:

„ქურდული სამყაროს“ წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე; „კანონიერი ქურდობა“ — თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე; „ქურდული შეკრების“ ორგანიზება ან მასში მონაწილეობა — თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე; ნებისმიერი ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომლისთვისაც ცნობილია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის შესახებ და სურდა ან უშვებდა, რომ თავისი აქტიური ქმედებით ხელს უწყობდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას, თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე; პირის მიერ „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის, „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა „ქურდული გარჩევის“, ან მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ნებისმიერ პირზე ან ნებისმიერი პირის გადაწყვეტილების მიღებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა „ქურდული სამყაროს“ წევრის, „კანონიერი ქურდის“ მიერ რაიმე ქმედება ან დადგა თუ არა ამ პირისთვის სასურველი შედეგი — თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

საქართველოს პარლამენტმა გვარის შეცვლის რეგულაციები გაამკაცრა

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გვარის შეცვლისთვის ახალ რეგულაციებს აწესებს. კანონპროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობა.

გვარის შეცვლის წესის გამკაცრების მიზანია, დაიცვას საქართველოს მონაპოვარი — უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან, და ის სარგებელი, რასაც ქვეყანა ამ გზით იღებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებებით. კანონი მოახდენს საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო დარღვევის პრევენციას, ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩამდენ საქართველოს მოქალაქეთა იდენტიფიკაციას და მყარ საკანონმდებლო გარანტიას შეუქმნის უვიზო მიმოსვლის რეჟიმს ევროკავშირის ქვეყნებთან.

სახელის შეცვლის ინსტიტუტისგან განსხვავებით, დღეს მოქმედი რეგულაციით, არ არსებობს შეზღუდვა, თუ რამდენჯერაა შესაძლებელი გვარის შეცვლა. **სრულწლოვანებაში სახელის მხოლოდ ერთხელ შეცვლის ინსტიტუტი 2014 წელს იქნა შემოღებული, როდესაც საქართველო ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მიზნით მოლაპარაკებებს მართავდა. გვართან დაკავშირებულმა ლიბერალურმა რეგულაციამ კი მოგვიანებით გარკვეული პრობლემები შექმნა შენგენის სივრცის ქვეყნებთან. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ერთი გვარით ჩადიან დანაშაულს ევროკავშირის ტერიტორიაზე, შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში, იცვლიან გვარს მარტივად და მოკლე ვადაში და ახალი ვინაობით მიემგზავრებიან კვლავ შენგენის ზონაში. უცხო ქვეყნის საზღვარზე სათანადო სისტემების უქონლობის გამო ვეღარ ხერხდება ამ პირთა იდენტიფიცირება და ისინი კვლავ ხვდებიან იმ სივრცეში, საიდანაც გამოაძევეს, ან სადაც შესვლა აკრძალული აქვთ. ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირი დროის მცირე შუალედში რამდენჯერმე იცვლის გვარს. მაგალითად, 2016 წელს 58-მა პირმა გვარი შეიცვალა ორჯერ, ხოლო ერთმა პირმა 3-ჯერ; 2017 წელს კი 59-მა პირმა გვარი შეიცვალა ორჯერ, ხოლო ერთმა პირმა — 4-ჯერ.**

ცვლილებების პროექტის თანახმად, **საქართველოს მოქალაქეს კვლავ შეეძლება გვარის შეცვლა, მაგრამ სრულწლოვანების შემდეგ მას მოუწევს ერთხელ გაიკეთოს არჩევანი და მიიღოს: მშობელთა შეერთებული გვარი, პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარი მეოთხე თაობის (ბებიის/პაპის ბებია და პაპა) ჩათვლით, საკუთარი და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის (ბებიის/პაპის ბებიისა და პაპის ჩათვლით) გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი, ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი ან ისტორიული გვარი.**

ამ შემთხვევაში მხედველობაში არ იქნება მიღებული გვარის შეცვლის ის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2017 წლის 28 მარტამდე, ანუ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე.

შეზღუდვა არ გავრცელდება არც იმ შემთხვევებზე, როდესაც პირებს სურთ მეუღლის გვარის მიღება ან საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარის ტარება, რის შესახებაც გადაწყვეტილება მათ ქორწინების მომენტში უნდა მიიღონ. ასევე, ერთხელ გვარის შეცვლის შეზღუდვა არ იმოქმედებს იმ შემთხვევებზე, როდესაც განქორწინების მომენტში პირი გადაწყვეტს, დაიტოვოს ქორწინებისას მიღებული მეუღლის გვარი ან საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი. ამასთან, პირს ყოველთვის შეეძლება დაიბრუნოს საკუთარი ქორწინებამდელი გვარი, ასევე, შვილად აყვანისას მიიღოს მშვილებლის გვარი, მამობის დადგენისას მიიღოს მამის გვარი, აგრეთვე მიიღოს სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი (თუ პირის დაბადების სამოქალაქო აქტი რეგისტრირებულია საქართველოში და სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირისთვის სხვა გვარის მინიჭების შემდეგ მან მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა).

გარდა ამისა, გვარის ან სახელის შეცვლის შემთხვევაში, მსურველი ვალდებული იქნება, პირადად მიმართოს შესაბამის უწყებებს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას). გარდა ქორწინების/განქორწინების შემთხვევებისა, საკითხის გადასაწყვეტად საგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მოეწყობა ზეპირი მოსმენა, სადაც გვარის შეცვლის მსურველი ვალდებული იქნება, პირადად გამოცხადდეს და დაასაბუთოს გვარის შეცვლის საჭიროება.

გვარის შეცვლას მოქალაქე ვერ მოახერხებს, თუკი განცხადება წარდგენილი არ იქნება უშუალოდ მის მიერ; ის დეპორტირებული ან რეადმისირებულია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან არ გასულა 5 წელი. ცვლილებების პროექტით ასევე დაზუსტდება, რომ ამჟამად კანონში მითითებულ „სამართალდამცავი ორგანოს“ მიერ ძებნილ პირში, რომელიც დღეს ვერ იცვლის გვარს, იგულისხმება არა მხოლოდ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს მიერ, არამედ უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოსა და ინტერპოლის მიერ ძებნილი პირიც.

ქართული ღვინის OIV-ის ჩამონათვალში შეტანის საკითხი შემდეგ ეტაპზე გადავიდა

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის შეტანის საკითხი განხილვის შემდეგ ეტაპზე გადავიდა.

პრეზენტაცია ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის შესახებ პარიზში, OIV-ის ოფისში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა წარადგინა.

OIV-ის სამუშაო ჯგუფში გამართული მსჯელობის შემდეგ, აღნიშნული საკითხმა სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა მოიპოვა და განხილვის შემდეგ ეტაპზე გადავიდა. პროცედურების შესაბამისად, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, OIV-ის გენერალურ ასამბლეაზე, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე საკითხის მორიგი განხილვა გაიმართება.

საფრანგეთში ვიზიტის დროს გიორგი სამანიშვილმა ასევე შეხვედრები გამართა OIV-ის გენერალური დირექტორობის კანდიდატებთან, რომელთაც ქართული დელეგაციის წევრებს სამოქმედო პროგრამა გააცნეს.

2017 წელს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV დაჩქარებული წესით განხილვაში მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადულებული ღვინო (ქარვისფერი ღვინო), OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევიდეს.

სატენდერო მოწვევის დანართი

თარიღი:	19 აპრილი, 2018
სესხის №. და სახელწოდება	2843-GEO: საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3 (დამატებითი დაფინანსება)
კონტრაქტის №. და სახელწოდება	RCIP/CW/NCB-01: ქობულეთის შემოვლითი გზის განათება
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა:	14 მაისი 2018 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)

6. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

- **არაუგვიანეს 2018 წლის 14 მაისისა 16:00 (ადგილობრივი დროით)**
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით შემდეგ მისამართზე:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-3 სართული, საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB

Invitation for Bids

(Corrigendum 1 IFB, original IFB publication date is March 23, 2018)

Date:	April 19, 2018
Loan No. and Title:	2843-GEO: Road Corridor Investment Program - Tranche 3 (Additional Financing)
Contract No. and Title:	RCIP/CW/NCB-01: Lighting of Kobuleti Bypass Road Km 0+000 – 12+400
Deadline for Submission of Bids:	Extended to May 14, 2018, 16:00 hours (local time)

6. Deliver your bid to:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.
Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

- on or before the deadline: May 14, 2018, 16:00 local time
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.
- Bids will be opened immediately after the deadline for bid submission in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the following address:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ფილიმასკა.ჯი"-ს და შპს „რიჩემას" საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ფილიმასკა.ჯი" (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: 02.07.01.379).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „რიჩემა" (ს/ნ 204552545), თბილისი, ბელინსკის ქ. 39/თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №51, კორპუსი 8, ბინა 42;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე (საკადასტრო კოდი: 56.10.40.027).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 1,275,426.27 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ით დასაბეგრი ქონების საკადასტრო კოდი: 02.07.01.379, თანხა შეადგენს 144,115.96 ლარს).

4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 8 მაისი, 12:00 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

7. **მოვალე:** შპს „ფილიმასკა.ჯი" (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;

შპს „ჯეოპელი" (ს/ნ 405103150), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23;

ნიკოლოზ ჩიქოვანი (პ/ნ 01009009175), ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №51, კორპუსი 8, ბინა 42;

დავით კურცხალია (პ/ნ 01010006336), ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-2 კვ, კორპუსი 1, ბინა №16;

ვახტანგ ნიკოლეიშვილი (პ/ნ 65002005396), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 8 მაისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

პუტინი მოქალაქეებს სახლიდან გასვლას აუკრძალავს

რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაჩნდა 105.1-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეჭვმიტანილებს და ბრალდებულებს საკუთარი საცხოვრებელი ადგილის დატოვება ეკრძალებათ.

გარდა ამისა, მათ შეიძლება ასევე აეკრძალოთ გარკვეულ ადგილებში გამოჩენაც, როგორიცაა დაესწრონ გარკვეულ ღონისძიებებს ან მიიღონ მასში მონაწილეობა. დოკუმენტის ტექსტი წარმოდგენილია იურიდიული ინფორმაციის ოფიციალურ გვერდზე. ახალი კანონი სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეხებათ მხოლოდ ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს.



ტრამპი ახალი სანქციებისთვის პირობებს აყენებს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან მიმართებაში ახალ სანქციებს მაშინ შეიტანს, როცა მოსკოვი ამას დაიმსახურებს.

„ჩვენ შევიტანთ სანქციებს, მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლება სრულიად დაიმსახურებს ამას", – განაცხადა ტრამპმა. მან ასევე აღნიშნა, რომ **„არავინ ყოფილა რუსეთთან მიმართებაში ისეთი მკაცრი, როგორც დონალდ ტრამპი"**. მიუხედავად ამისა, ამერიკის ლიდერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მოხარული იქნება, თუკი მოხერხდება რუსეთთან კარგი ურთიერთობის მიღწევა.

ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები თურქეთში 24 ივნისს გაიმართება

ამის შესახებ პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა ანკარაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ხელისუფლება მიესალმება დევლეთ ბახჩელის წინადადებას ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ. ის 2018 წლის 24 ივნისს ჩატარდება", – განაცხადა ერდოღანმა. მისივე თქმით, თურქეთის უზენაესი საარჩევნო კომისია მალე დაიწყებს მზადებას ქვეყანაში არჩევნებს ჩატარებისთვის. ცნობისთვის, 17 აპრილს დევლეთ ბახჩელი გამოვიდა წინადადებით, ჩატარებულიყო ვადამდელი არჩევნები ქვეყანაში, 2018 წლის 26 აგვისტოს. ერდოღანმა გამართა მოლაპარაკებები მასთან, რათა განეხილა ვადამდელი კენჭისყრის საკითხი.

◎ პრივი

მედლებისა და საგზურებისთვის

39 ძვირფასეულობის 229 წარმომადგენელი მოსინჯავს ძალებს 18-წლამდელ მოკრივეთა ევროპის 28-ე ჩემპიონატში, რომელსაც იტალიის ქალაქი როზეტო დეგლი აბრუცი მასპინძლობს. მონაწილეთა სიმრავლე იმით არის გამოწვეული, რომ ამ შეჯიბრებაზე მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების (2018 წლის ოქტომბერი, არგენტინა, ბუენოს აირესი) საგზურებიც გათამაშდება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მწვრთნელებთან - შალვა დუნდუასა და არტურ ბურდიანცთან ერთად აპენინებზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ლუკა კუბლაშვილი (49კგ), სერგო ცაციაშვილი (52კგ), გია თორთლაძე (56კგ), ალექსანდრე ყიფიანი (60კგ), ნიკა ჯაკონია (64კგ), ნიკა მოდებაძე (69კგ), თემური ქიმაძე (81კგ).

ოთხმა ქართველმა უკვე იასპარეზა იტალიურ რინგზე: 56 კილოში გია თორთლაძემ ბულგარელ იაკუბ სინოლიევს აჯობა, 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნიკა ჯაკონიამ აშკარად დაჯაბნა ხორვატი ლეონ მაისტორიკი, 81-ში თემურ ქიმაძემ უკრაინელ ვიტალი სტაჩენკოს მოუგო დაძაბულ პაექრობაში, ხოლო ნიკა მოდებაძემ (69 კგ) რუმინელ აუგუსტინ ლუბერტისთან დათმო შეხვედრა.

ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი 26 აპრილს დასრულდება.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

გამოვლინდა ფინალური ოთხეული

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დღეს დამთავრდება ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული პირველობა. თუმცა, უკვე ცნობილია ის ფინალური ოთხეული, რომელიც 5 და 6 მაისს მედლებისთვის იბრძოლებს.

წლევანდელი ჩემპიონატის წინა ორ წრეში ქვეყნის ჩემპიონმა თელავის „იმედმა“ „ქუთაისს“ ორჯერვე აჯობა, ამიტომ მე-19 ტურის მატჩში რი-

ონისპირელები რევანშის წყურვილით გავიდნენ მოედანზე და მიზანსაც მიაღწიეს. მათს მოტივაციას ისიც აძლიერებდა, რომ მოგების შემთხვევაში ქულებით ჩემპიონს გაუთანაბრდებოდნენ. პირველივე ტაიმში „ქუთაისმა“ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და 16:9 დაწინაურდა. ქუთათურებმა ტემპი მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს და საბოლოოდ 36:23 გაიმარჯვეს. დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დასრულდა: სტუ –„ქარიშხალა“ – „ბათუმი“ 32:48, „გორი“ – „სამტრედია“ 42:38, „წყალტუბო“ – „პეგასი“ 24:38.

ბათუმი – 33, ქუთაისი, იმედი – 31–31, პეგასი – 23, გორი – 18, სტუ – 10, წყალტუბო – 4, სამტრედია – 2 ქულა.

ლექსო ცინცაძე

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია შესაძლოა, პოლონეთის გამორჩეული კლუბის, „ლეგიას“ სათავეში ვიხილოთ. Przegladportowy.pl-ის ინფორმაციით, იგი ვარშავული გუნდის თავკაცობის პრინციპული კანდიდატია.

წყაროს ცნობით, „ლეგიას“ პრეზიდენტი დარიუშ მიოდუსკი კლუბის ამჟამინდელი მწვრთნელის რომეო იოზაკის მუშაობით უმაყოფილოა და სეზონის დასრულებისთანავე პოსტს დაატოვებინებს, მის ერთ-ერთ შესაძლო შემცვლელად კი ქეცბაიას განიხილავს.

აღსანიშნავია, რომ თემურის კანდიდატურა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში განიხილებოდა „ლეგიას“ დამრიგებლის პოსტზე, მაგრამ კლუბმა არჩევანი სწორედ ხორვატ იოზაკზე შეაჩერა, ახალი მთავარი მწვრთნელის შერჩევის პროცესი კი გრძელდება მიოდუსკი კონსულტაციებს სხვა ხელმძღვანელებთან გაივლის და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ქეცბაია ბოლოს რუსულ „ორენბურგში“ მუშაობდა, ხოლო იქამდე სახელი ფამაგუსტას „ანორთოსისში“ გაითქვა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. 50 წლის სპეციალისტის სამწვრთნელო კარიერაში ასევე იყო „ოლიმპიაკოსი“ (2009 წელი), საქართველოს ნაკრები (2009-2014), „აპოელი“ (2015-2016) და ათენის აეკ-ი (2016).

არნემის „ვიტესის“ კაპიტანმა გურამ კაშიამ „ალკმაართან“ (3:4) მატჩი შეაფასა და, გარდა ამისა, კომენტარი გააკეთა პირად რეკორდზეც. იგი ერედივიზიონში კლუბის რეკორდსმენი გახდა ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

„ნამდვილად ვამაყობ ამ ყველაფრით, რადგან განვლილ 8 წელიწადში თამაშების თითქმის 99% ჩავატარე. ვიმარჯვებდით თუ ვმარცხდებოდით, ყოველთვის მოტივირებული ვიყავი. ეს არ ყოფილა ადვილი, მაგრამ შევძელი. გავაგრძელებ თამაშს და ვეცდები მაქსიმალურად დავიხარჯო.

„ალკმაართან“ კარგი თამაში გამოვიდა, მაგრამ არა პირადად ჩემთვის. ჩვენ მეტოქეს დიდ სივრცეებს ვაძლევდით და ამან ყველაფერი გაართულა. ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში“, - განაცხადა კაშიამ.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ქართველმა ფეხბურთელმა

ერედივიზიონში 243-ე მატჩი ჩაატარა და ამ შედეგით „ვიტესის“ ისტორიაში საუკეთესო გახდა. მასზე მეტჯერ არნემელთა ღირსება ჰოლანდიის ჩემპიონატში არავის დაუცავს. გურამმა ტეო იანსენის რეკორდი დაამხო.

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ მორიგი, ამჯერად პირადი რეკორდი გაიმეორა. პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ზედიზედ 12 შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა და ასეთი კარგი სერია კარიერაში აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა.

რონალდუმ მიჯრით 12 მატჩში გატანა 2014-2015 წლების სეზონშიც მოახერხა, ამჯერად კი კრიშტიანუმ თავისი კარიერის საუკეთესო შედეგს მეორედ უწია.

ეს „ბილბაოსთან“ შეხვედრაში მოხდა, როდესაც „რეალის“ ლიდერმა 87-ე წუთზე გაიტანა და თავის გუნდს ქულა გადაურჩინა (1:1). აქვე გეტყვით, რომ რონალდუმ ხსენებულ12 მატჩში 22-ჯერ დაამწუხრა მეტოქეები.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კოლეგებს ამხელს

პირმშვენიერი რუსი მოდელი კატია შჩეკინა, რომელიც ცნობილი იტალიური ბრენდის „დოლჩე გაბანას“ სახეა და მილანში მოღვაწეობს, აბსურდულსა და სასაცილოს ეძახის ახალგაზრდა კოლეგათა მცდელობებს, რომლებიც აჰყვნენ თანამედროვეთა ფეხის ხმას და პოპულარობის მოსახვეჭად ფეხბურთის ქომაგის იმიჯს იყენებენ.

კატიას აზრით, სამოდელო საქმე ერთობ სერიოზული რამაა, დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს და სულაც არაა ისეთი „ყვითელი“ რამ, როგორც ზოგიერთ მის წამეხდურას ჰგონია. შჩეკინა იმასაც ამბობს, რომ ცნობილ სპორტსმენებზე მოდელთა სარფიანად გათხოვების ტენდენციაც არ მოსწონს და ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ვულგარულია.

კატია შჩეკინა რუსეთის პატარა ქალაქ პერმში 1986 წლის 18 მაისს დაიბადა. მას თავიდანვე ძალიან გაუმართლა, რადგან მოსკოვში გადასვლისთანავე იტალიელ დიზაინერთა ყურადღება დაიმსახურა და უკვე გითხარით, რომ ამჟამად მსოფლიოში ისეთი უცნობილესი ბრენდის სახეა, როგორიც „დოლჩე გაბანა“ გახლავთ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

ფენომენალური ლებრონი

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) გრძელდება პლეი-ოფის სტადია. „კლივლენდ კავალიერზმა“ „ინდიანა პეისერზთან“ სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 1:1 და ეს დიდწილად ლებრონ ჯეიმსის ფენომენალური თამაშის წყალობით მოახერხა.



თავად განსაჯეთ: „მეფემ“ 40 წუთში 46 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა გაახერხა. ეს იმის ფონზე, რომ „კავალიერზის“ რიგებში რანგით მეორე მაჩვენებელი, რომელიც კევინ ლავს გააჩნდა, ასეთი იყო: 35 წუთი, 15 ქულა, 8 მოხსნა, „ინდიანას“ რიგებში კი ვიქტორ ოლადიპო გამოირჩა 22 ქულით, 3 მოხსნითა და 6 პასით.

ამრიგად, „კლივლენდმა“ შეხვედრა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში 100:97 მოიგო და სერიაში ყველაფერი თავიდან იწყება. ამ გუნდებს შორის მომდევნო მატჩი 21 აპრილს ინდიანაში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

ქალი ერეკლეს გვერდით...

სვეტიცხოველში, ერეკლე მეფის გვერდით, მრავალი წლის განმავლობაში გამზადებული იყო ადგილი, რომელშიაც დარეჯან დედოფალი უნდა დაკრძალულიყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, პატარა კახის გვერდით სულ სხვა ქალი დაასაფლავეს.?

დარეჯანზე (დარია გიორგის ასული დადიანი) ერეკლე მეორემ 1749 წელს დაიწერა ჯვარი. ლამის ნახევარსაუკუნოვანი ქორწინებიდან შეეძინათ 14 შვილი — 5 ქალი და 9 ვაჟი (აქედან ერთი ქალი და ოთხი ვაჟი მცირეწლოვნები დახოცილან).

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ დარეჯან დედოფალი თავისი ნების საწინააღმდეგოდ გადაასახლეს რუსეთში, სადაც აღესრულა კიდეც.

ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: **„წელსა 1807, ნოემბრის პირველს გამოჩნდა ვარსკვლავი კუდიანი გრძელი და არა კომეტა. წელს ამას გარდაიცვალა დედოფალი დარეჯან დადიანის ასული, მეუღლე მეფისა ირაკლისა, სანკთ-პეტერბურხსა შინა ნოემბრის 8, რომელიცა დამარხა იმპერატორმა ალექსანდრემ დიდითა ცერემონითა ნევსკის მონასტერსა შინა ხარების ეკლესიაში“.**



თუ დარეჯანი „სანკთ-პეტერბურხში ნევსკის მონასტერსა შინა დაიკრძალა“, მაშ ვინ განისვენებს ერეკლეს გვერდით სვეტიცხოველში?

1846 წლის მარტში სვეტიცხოველში („ადგილსა სამარხსა ყოველთა საქართველოს მეფის სახლისა წევრთასა“) დიდის პატივით დაკრძალეს 70 წლის ქალი — დედა პოეტების ვახტანგ და ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანებისა, თვითონაც პოეტი ქალი და, თავისი შვილების მსგავსად, საქართველოს დამოუკიდებლობის თავგადაკლული მომხრე თეკლე ბაგრატიონი, რომელიც უკანასკნელ გზაზე თვით მეფისნაცვალმა მიხაილ ვორონცოვმა და მისმა მეუღლემ ელიზავეტამ გააცილეს, თუმცა სიცოცხლეში რუსი მეფის მოხელეები დიდად არ სწყალობდნენ არც მას და არც მის შვილებს, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გადაასახლეს. მანამდე რუსეთში გადასახლებული იყო თავად თეკლე ბაგრატიონიც.

ალექსანდრე ორბელიანი დედის შემართებასა და მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას ასე იხსენებს:

„როდესაც ჩემთან თბილისში ოფიცერი სინიცკი მოვიდა და გადასახლებაში წასვლა მიბრძანა, ჩემმა ცოლ-შვილმა ტირილი მორთო, მაშინ გაისმა დედაჩემის ხმა: ჩემი მკვლელი ის იქნება, ვისაც ახლა შეწუხებულს ვნახავო“.

ისტორიკოსი დავით ქორიძე თავის წიგნში „ქართველი ქალები“ წერს, რომ თეკლე 16 წლამდე ვაჟურად ჩაცმული ხშირად ხლებია თავის სახელოვან მამას სხვადასხვა ბრძოლაში.

შემორჩენილია 1780 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებული სახუმარო სიგელი, რომელსაც ერეკლე მეორე აწერს ხელს:

„გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს თეკლა ბიჭს, თუმცა აქამდის შენ ყველასგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და უბრძანეთ ყველა შენს ძმებს და დებს გიწოდონ თეკლა ბიჭი“.

გადასახლებიდან დაბრუნებული თეკლე უმეტესად ცხოვრობდა თბილისში, მამის მიერ ბოძებულ სოლოლაკში. შემორჩენილია მისი სამი ლექსი: „რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი“, „ყოველთა მოდასეთა დაისრეს გული“, „მოგახსენებთ ყოველთ, აზიელთა ერთი“, რომლებშიც, იმავე დავით ქორიძის თქმით, გადმოცემულია ღრმა სევდა საქართველოს უმწეო მდგომარეობის გამო.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

კასპში ძმამ ძმა მოკლა

გუშინ გვიან ღამით, კასპში ძმამ ძმა მოკლა. არსებული ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტის შედეგად, ერთმა ძმამ მეორეს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. მკვლელობაში ბრალდებული პოლიციამ ცხელ კვალზე, მომხდარიდან მალევე დააკავა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ხეების გადატანისას ხელის შეშლის გამო „ნაციონალური მოძრაობის“ ორი წევრი დააჯარიმეს!

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, „ნაციონალური მოძრაობის“ ორი წევრი ქობულეთში, სოფელ ხუცუბანში ხეების გადატანის პროცესისთვის ხელის შეშლის გამო დამნაშავედ ცნო და ბიუჯეტის სასარგებლოდ, 250-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

შემთხვევა 4 აპრილს მოხდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გზის გადაკეტვით ბიძინა ივანიშვილის დენდროლოგიურ პარკში ასწლოვანი ევკალიპტის გადატანას აპროტესტებდნენ.

მოსამართლის გადაწყვეტილების გამოცხადებას დარბაზში ხმაური მოჰყვა...

შემოქმედში მამაკაცი მწვავე ინტოქსიკაციით გარდაიცვალა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში 50 წლამდე ასაკის მამაკაცი მწვავე ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. ახლობლები ამბობენ, რომ მამაკაცი შეუძლოდ მას შემდეგ გახდა, რაც საკუთარი სახლის სხვენში ფაროსანასა და სხვა მწერების საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოები დაასრულა.

„პაციენტი სასწრაფომ ჩვენთან გადმოიყვანა მძიმე, ტერმინალურ მდგომარეობაში. მაშინვე მართვით სუნთქვაზე გადავიყვანეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ, პაციენტს გული გაუჩერდა. ძლიერი ინტოქსიკაციით იყო მოყვანილი“, — განაცხადა ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის დირექტორმა დავით მდინარაძემ.

„ჯვარი გაუტეხეს, აგინეს, აფურთხეს“

კახის მკვიდრი კუზიბაბაშვილი ისევ დააკავეს

კახის რაიონის მკვიდრი ბეზო კუზიბაბაშვილი, რომელიც აზერბაიჯანელ სამართალდამცველებს ეთნიკური და რელიგიური ნიშნით გამორჩევასა და წამებაში ადანაშაულებდა, ისევ დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში ვრცელდება. სოციალური ქსელის მომხმარებლები საქართველოს მთავრობას რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

კუზიბაბაშვილის შესახებ ქართველი საზოგადოებისთვის რამდენიმე კვირის წინათ გახდა ცნობილი. როგორც კუზიბაბაშვილები განმარტავენ, აზერბაიჯანში სამართლებრივი და ვერც სამედიცინო დახმარება მიიღეს, ამიტომ იძულებული გახდნენ დახმარების თხოვნით საქართველოს მთავრობისთვის მიემართათ.

ბეზო კუზიბაბაშვილი ქართველ ჟურნალისტებს 15 მარტს დაუკავშირდა და მისი ისტორია უამბო. როგორც მაშინ კუზიბაბაშვილი ყვებოდა, ორი კვირის წინათ აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა დააკავეს და სასტიკად სცემეს. მისი თქმით, დაკავების მიზეზი ერთ-ერთ ადგილობრივ აზერბაიჯანელთან ეთნიკური წარმომავლობის გამო შეკამათება გახდა.

როგორც კუზიბაბაშვილი იხსენებს, მას შეურაცხყოფა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით მიაყენეს:

„პოლიციელმა ჯვარი მაგინა და მეც ვაგინე“.

მისივე თქმით, სამართალდამცველებს ის განყოფილებაში თავისუფლებააღკვეთილი რამდენიმე დღის განმავლობაში ჰყავდათ და მასთან ექიმი არ შეუშვეს. მოგვიანებით ის ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, თუმცა ექსპერტიზის ჩატარების უფლება არ მისცეს.

ვინაიდან კუზიბაბაშვილებმა აზერბაიჯანში სამართალს ვერ მიაგნეს, ბეზო კუზიბაბაშვილის ძმამ შენგელიმ დახმარების თხოვნით საქართველოს მთავრობას მიმართა:

„ისეა ნაწამები, ამას ფაშისტიც არ გააკეთებდა — ჯვარი გაუტეხეს, აგინეს, აფურთხეს. საქართველოს მთავრობას ვთხოვ, ამ ცემაზე მოახდინონ რეაგირება, რათა მსგავსი რამ მეორედ არ მოხდეს. დღეს ჩემი ძმაა, ხვალ კი ნებისმიერი იქ მაცხოვრებელი ქართველი იქნება“.

„აქცენტი“ დაინტერესდა, სწავლობს თუ არა საქმეს საქართველოს სახალხო დამცველი.

„ჩვენ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვმოქმედებთ. ეს პირი საქართველოს მოქალაქე არაა, ამიტომ ვერაფერს გავაკეთებთ. კანონმდებლობა არ გვაძლევს ამის საშუალებას“,— განმარტავენ საქართველოს ომბუდსმენის აპარატში.

„აქცენტი“

გურჯაანელი თაღლითები გამოიჭირეს!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობისა და დიდი ოდენობით ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე , შპს „მოხელეს“ დირექტორი და დამფუძნებელი თემურ ფ. დააკავეს.

თემურ ფ-მ მოტყუების გზით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა — 14 302,96 ლარი. მან 2017 წლის 14 აგვისტოს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ქ. გურჯაანში, სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებაზე გურჯაანის მუნიციპალიტეტში წარდგენილ აქტებში, ყალბი მონაცემები შეიტანა.

ამავე საქმეზე, 2018 წლის 21 მარტს, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცა გურჯაანის მერიის ყოფილი და მოქმედი შვიდი თანამშრომელი: დიმიტრი კ., ნოდარ შ., დურმიშხან ა., თეიმურაზ ბ., გიორგი ა., ივანე ქ. და დიმიტრი ა., რომლებმაც სამუშაოების შემოწმებისას არაჯეროვნად შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო.



„საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“ ირლანდიაში

ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, დუბლინში მდებარე ევროპის სახლში ფოტოგამოფენა „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“ გაიხსნა, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

გამოფენა ოფიციალურად გახსნეს ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა, დუბლინის ლორდ-მერმა მიჰოლ მაკ დონაქამ და ირლანდიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჯერი ქაილიმ. ფოტოგამოფენის გახსნის ცერემონიალის შემდგომ გაიმართა მიღება, სადაც სტუმრებს საელჩო ქართული ღვინით გაუმასპინძლდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ირლანდიის მთავრობის, პარლამენტის, კულტურისა და სამეცნიერო წრეების, ასევე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ფოტოგამოფენა ევროპის სახლში 2018 წლის 4 მაისამდე გაგრძელდება.

გრანდიოზული ფასდაკლების კვირეული

საქართველოში გრანდიოზული ფასდაკლების კვირეული SPA & WELLNESS მიმდინარეობს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით პროექტი „Discount Week“ 13 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება. ფასდაკლების კვირეულში ჩართულია 17 სასტუმრო და 2 სარეაბილიტაციო-პროფილაქტიკური მომსახურების ცენტრი. განთავსების ობიექტები მომხმარებლებს 25%-დან 51% ფასდაკლებას სთავაზობენ.

ფასდაკლების კვირეული მოიცავს: თბილისს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამცხე-ჯავახეთს, იმერეთს და აჭარას.

ეს არის პროექტი, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შიდა და საერთაშორისო ტურისტებისათვის სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებში ფასდაკლებით სარგებლობას. ფასდაკლების კვირეულის მიზანია არასეზონურ პერიოდში რეგიონის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის წახალისება. პროექტი ხელს შეუწყობს ტურისტულ ობიექტებს ვიზიტორების მოზიდვაში.

თვალების მოფრთხილება

თანამედროვე ყოფის ერთ-ერთი ცუდი თანმდევია თვალების ზედმეტად დაღლა. ამას არა მარტო კომპიუტერთან მუშაობა, არამედ პლანშეტებიდან ან ტელეფონებიდან ბევრი ტექსტის კითხვა, დიდხანს ტელევიზორის ყურება, ცუდი განათება, თამბაქოს კვამლი და მზის გამოსხივება იწვევს. ამიტომაც:



— სახლში ყოფნის დროს რაც შეიძლება იშვიათად ჩართეთ ცისფერი ეკრანი, დააწესეთ დროის ლიმიტი გაჯეტების გამოყენებაზე;

— ეცადეთ ჭაღებში უფრო მძლავრი ნათურები დააყენოთ;

— ნურც თავად მოწევთ თამბაქოს და მწეველებსაც მოერიდეთ, აუცილებლად გაანიავეთ თამბაქოს სუნით გაჟღენთილი ოთახი;

— ნუ იხმართ იაფფასიან და არასერტიფიცირებულ, ასევე ვადაგასულ კოსმეტიკას, საღამოს კი თვალებიდან აუცილებლად ჩამოიბანეთ ტუში და ჩრდილები;

— გამოიყენეთ ჰაერის გამწმენდი და დამნამავი მოწყობილობები, რომლებიც მავნე სამრეწველო დაბინძურებიდან თვალებსაც დაიცავენ და ფილტვებსაც;

— ნუ მიეძალებით ყავას, ჩაისა და ალკოჰოლს, რომლებსაც გაუწყლოების და თვალების სიმშრალის გამოწვევა შეუძლიათ;

— თვალებისთვის მეტად სასარგებლოა ვიტამინები A, B და C, აგრეთვე რუტინი.

სარკეში თუ ჩაგიხედავს, ჩემო კარგო?!..

ეგრეთ წოდებულ „საშუალო ასაკის კრიზისს“, თურმე, ის გარეგოებაც უწყობს ხელს, რომ 45 წელი... საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილების პიკის ხანა ყოფილა.

სტატისტიკა მოწმობს, იმ ქალბატონის საშუალო ასაკი, ვინც რადიკალურ კოსმეტიკურ პროცედურებს მიმართავს, 44-46 წელია.

ყველაზე ხშირად ქალები ქუთუთოებსა და შუბლის კანს იჭიმავენ, ასევე მკერდს იდიდებენ. სახის კანის მთლიან დაჭიმვას, საპარატო პროცედურების სიმრავლის გამო, ქალები ბოლო დროს გაცილებით იშვიათად მიმართავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ჯანსაღი ძილი

— კარგად გძინავთ ღამე?
— დიახ, დირექტორო.
— რაზე მუშაობ?
— ღამის დარაჯი ვარ.

გზა შინისკენ

ღამეა. მთვრალი ტიპი გამვლელს აჩერებს:
— მაპატიეთ, თავზე რამდენი კოპი მაზის?
— ოთხი.
— ესე იგი, კიდევ ორი ელექტრობოძი და, უკვე სახლში ვარ.

ნათესავები

— გაიგეთ, ის გამგე ციხიდან გამოსულა.
— უყურე შენ, ციხეში მჯდარა, მე კი მითხრა, ერთი წელიწადი ნათესავებთან გავატარეო.
— მართალი უთქვამს, მაგის სიმამრი, სიდედრი და ქვისლი იმავე ციხეში ისხდნენ.

თხოვნა

— დედიკო, მართლა გიყვარვარ?
— რასაკვირველია, შვილო.
— მაშ, ჩვენი ქუჩის კუთხეში ნაყინს რომ ყიდის, იმას გაყევი ცოლად!..

კარნავალზე

— ღმერთი, რჯული, ამხანაგო დირექტორო, მაგ ტანსაცმელში ნამდვილი ბერიკა ხართ, კაციშვილი ვერ ამოგიცნობთ.

ქურქის ფასი

— ირენკა, ეგ შენი ქურქი რა ღირდა?
— სულ ორი კოცნა — ერთი კოცნა დილით ქმარმა მაშინ მაჩუქა, როცა სამსახურში მიდიოდა, ხოლო მეორე კოცნა თავის მდივანს მაშინ აჩუქა, როცა მე მის კანტორაში შევედი.

უბედური შემთხვევა

— ზიგმუნდი ამას წინათ რომელ ქალსაც თავის მანქანით დაეჯახა, ის ახლა ცოლად მოუყვანია.
— კარგია, კარგი!.. ეგეთი შემთხვევები უფრო ხშირად რომ ხდებოდეს, მძღოლები ბევრად მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ.

არჩევანი

— საუზმედ რას მიირთმევთ, ყავას თუ ჩაის?
— რაც გუშინ დამალევინე თუ ყავა იყო, მაშინ ჩაის დავლევ, ხოლო თუ ჩაი იყო, მაშინ ყავა აჯობებს.

დაქალები

— მითხარი, თუ ქალი ხარ, რამდენი გადაიხადე ჩემი ვარცხნილობის მსგავსი ვარცხნილობა რომ გქონოდა?
— ჯერ შენ მითხარი, შენ რა დაგიჯდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4277; ევრო - 3.0028;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4490;
100 რუბლი - 3.9387; თურქული ლირა - 0.5917;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4275;
1000 სომხური დრამი - 5.0263.

ამინდი 20 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +14
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +15
თბილისი: ღამე +7, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge